სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი 12 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი (ცალკე) ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлис, почтов. ящ. 199. Редакция „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлис, Головинский проспект № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 244 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 244

6 ნოემბერს, ქ. ფოთში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი

**თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა,**

რასაც ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის დედა კესარია, მეუღლე ბარბალე (მაშო), შვილები: გიორგი და დარია და ძმები: თომა და ბიქტორი გიორგის ძენი ქეშელავები. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში 13 ნოემბერს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2—1

უსაზღვროთ დამწუხრებულნი: დედა ეკა, ცოლი დომნა, ძმები: ივაკი და სერაპიონ და და—ქეთო, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ჩვენი საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი

**ალფესი ერასტოს ძე ჯიბუტი.**

დასაფლავება მოხდა 3 ნოემბერს, ს. ჯაპანის (გურიაში) წმინდა გიორგის ეკლესიაზე.

საქართველოს რკინის-გზის ლიანდაგის განყოფილების პირველი უბნის კანტორის მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი თანამოსამსახურე და ამხანაგი

**ალფესი ერასტოს ძე ჯიბუტი,**

რომლის დასაფლავებაც მოხდა ს. ჯაპანაში, წმინდა გიორგის ეკლესიაში, კვირას, 3 ნოემბერს (ახ. სტ.).

ღრმად დამწუხრებულნი: იაკობი გულას ძე, ევგენი იაკობის ძე, ვერა და პატარა ოთარი გეგეჭკორები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველის დაუვიწყარ სიდედრის, ხოლო დანარჩენთა საყვარელ, გამზრდელ ბებიასი

**მენიკი კეიდიასი**

კობახიძის ასულის გარდაცვალებას, ქ. ზუგდიდში.

პროკოფი ნიკოლოზის ძე, დარეჯან, ნიკოლოზ, და მუშანიკა ბერეჟიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველი საყვარელ შვილის, ხოლო დანარჩენი ძვირფასი ძმის

**მელქისედეკ (მეკეკა) პროკოფის ძე ბერეჟიანის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 12 ნოემბერს, ს. ქვედა ბახვში (გურია).

მეუღლე მოსე დავითის ძე, შვილები: მიხაკო, ალექსანდრე, დავითი და ხაპუტუ მელივები, ძმა ტიხი იესეს ძე ვადაჭკორია, თავის ოჯახობით, ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

**ვერა (ვერიჩკა) იესეს ასული მელივა.**

დასაფლავება 12 ნოემბერს, ს. ძიმითში (გურია).

ქ. ჭიათურაში უდროოდ გარდაიცვალა

**ილია (ილიკო) ლაზარეს ძე მიქაძე,**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გაუბედურებული მეუღლე მისი რებეკა, ძმა იაკინთე და ყველა მისი ახლობელი ჭირისუფალნი და ნათესავნი. დაკრძალვა და დროებით დასაფლავება მოხდება ქ. ჭიათურაში, ხუთშაბათს, 14 ნოემბერს.

დამწუხრებული და—თამარა აბრამის ასული და ცოლის ძმა ალექსანდრე იოსების ძე გილაშვილები შვილებითურთ, აუწერელი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 9 ნოემბერს სოფ. მაღაროში საკუთარ სახლში უდროოდ გარდაიცვალა მე-79 კურინის პოლკის ყოფილი აფიცერი

**სერგო (სერიოჟა) აბრამის ძე ნასიძე**

პანაშვიდები ყოველ დღე სოფ. მაღაროში, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

გულდათუთქულნი მშობელი ნინო ლევანის ასული, მეუღლე ნატალია ნიკოლოზის ასული, ძმები: ვლადიმერ და ივანე აბრამის ძენი, რძლები: ნინო იორითეს ასული და ნინო ივანეს ასული ნასიძენი ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 9 ნოემბერს სოფელ მაღაროში (სიღნაღის მაზრა) საკუთარ სახლში უდროოდ გარდაიცვალა მე 79 კურინის პოლკის ყოფილი აფიცერი

**სერგო (სერიოჟა) აბრამის ძე ნასიძე.**

პანაშვიდები ყოველდღე სოფ. მაღაროში, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—1)

## რევოლუცია გერმანიაში

დიდი ამბები ხდება ევროპაში საზოგადოთ და გერმანიაში განსაკუთრებით. „ბოლშევიკების“ რადიო ბიულეტენი გვატყობინებს და პროფ. ცუგმაიერის ნალაპარაკევიც ადასტურებს, რომ იმპერატორ ვილჰელმ მე-II და მის მემკვიდრეს უარი უთქვამთ ხელმწიფობაზე. მაქს ბადენელის მთავრობა ჩამოვარდნილა და სახელმწიფოს სათავეში სოციალ დემოკრატ ებერტის და შეიდემანის მთავრობა მოქცევია; ბერლინში და სხვა ქალაქებში შემდგარა „მუშათა დეპუტატების საბჭოები“. ლიბკნეხტის და ჰაზე ლედებურის პარტიები დაუყონებლივ სოციალიზმის განხორციელების დაწყებას მოითხოვენ. ცნობები ჯერ ცოტა გვაქვს ხელთ, მაგრამ ერთი რამ კი შეიძლება დარწმუნებით ითქვას: გერმანიაში დაიწყო უდიდესი რევოლიუცია; კაცობრიობა სდგას სოციალურ რევოლიუციის განხორციელების წინაშე თუ არა, პოლიტიკის დღიურ წეს-რიგში დაყენების წინაშე მაინც.

უნებურათ იბადება ანალოგია რუსეთსა და გერმანიას შორის; უნებურათ იბადება კითხვა: მიიღებს, თუ არა გერმანიის ცხოვრება იმავ მიმართულებას, როგორიც მიიღო რუსეთის ცხოვრებამ?

დასაწყისი თითქოს ისეთივეა, როგორც რუსეთში: იმპერატორის „გადადგომა“, „ხალხის ნდობით აღჭურვილი სამინისტრო“, პასუხის მგებელი საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე; კოალიციონური მთავრობა, სოციალისტების მონაწილეობით; სოციალისტ-მინისტრების პირველობა ამ სამინისტროში და ბოლოს „წმინდა-სოციალისტური“ მთავრობა, მთავრობა „ბოლშევიკებისა“. ყველა ეს ეტაპები ერთი თვის განმავლობაში გაიარა გერმანიის რევოლიუციამ. იგი უკვე მიადგა უკანასკნელ ეტაპს—წმინდა სოციალისტურ მთავრობას. ზომიერი სოციალისტები უკვე სახელმწიფოს სათავეში არიან; მალე უნდა მოველოდეთ ჰაზე-ლედერბურგის შესვლას მთავრობაში. მსგავსება სრულია.

მაგრამ არის ერთი განსხვავება და სწორედ ეს აბათილებს რუსეთის და გერმანიის რევოლიუციის მსგავსებას.

უმთავრესი ის არის, რომ გერმანია მსხვილი კაპიტალიზმის ქვეყანაა; ხალხის პროლეტარიზაცია ძალიან შორს არის წასული; პროლეტარიატი ხალხის უდიდეს ნაწილს შეადგენს,—ყველა კლასზე ძლიერია, როგორც რიცხვით, ისე პოლიტიკურ შეგნებით და მომზადებით. მას უკვე შეუძლიან სახელმწიფოს მართვა და რთულ ეკონომიურ ცხოვრების გაძღოლა. რუსეთის „ბოლშევიზმის“ უბედურება სწორეთ იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის ცხოვრებაში ვერ ვხედავთ ყველა ამ პირობებს; ძველმა კლასებმა დრო მოჭამეს, მაგრამ არც ერთი ახალი კლასი არ იყო მომზადებული სახელმწიფოს სათავეში ჩასადგომათ. კაპიტალიზმი ისე სუსტათ არის განვითარებული, რომ მისი სკოლა ხალხის სულ მცირე ნაწილს აქვს გავლილი; პროლეტარიატი როგორც რიცხვით, ისე შეგნებით ასმილიონიან ხალხის მეთაურობას ვერ უწევს. „ბოლშევიკების“ „სოციალიზმს“ ძალაუნებურათ უნდა მიეღო გლეხური ხასიათი. და რადგანაც გლეხობის სოციალიზმი მტკნარი უტოპიაა, იგი გადაიქცა თავდაუჭერელ და დამანგრეველ ანარქიათ.

გერმანიაში არა გვგონია გაიმარჯვოს გლეხურმა სტიქიონმა—ანარქიამ. ლედებურ ჰაზეს ჯგუფმა რომ იგდოს ხელთ სახელმწიფოს სადავე, იგი, ეჭვი არა გვაქვს, რევოლიუციას მწყობრს და ორგანიზაციულს მიმართულებას მისცემს, აერიდებიან სწორეთ იმას, რითაც „ბოლშევიზმმა“ რუსეთი დაღუპა; ეჭვი არ არის, რომ გერმანიის პროლეტარიატი მარტო დამანგრეველ მუშაობას კი არ აწარმოებს, იგი მხნეთ გაუძღვება საალმშენებლო მუშაობას და მკვიდრს საძირკველს ჩაუყრის ახალ სოციალურ პოლიტიკურს ცხოვრებას, ახალ საზოგადოებას.

უეჭველია, უმტკივნეულოთ და ადვილათ არ ჩაივლის ეს საალმშენებლო მუშაობა. „ძველი“ ჯერ კიდევ ძლიერია და უბრძოლველათ არ დაუთმობს „ახალს“. გერმანია განმარტოებით არა სდგას: მის გაბატონებულ კლასებს, რა თქმა უნდა, ხელს გაუწვდიან გაბატონებული კლასები იმ სახელმწიფოებისა, რომელთაც დღეს გერმანია ეომება. მაგრამ ისიც ვიცით, რომ გერმანიის პროლეტარიატიც თანაგრძნობას ნახავს გერმანიასთან მეომარ სახელმწიფოების პროლეტარიატში.

## ქართველ-მუსულმანთა დაბრუნების გამო

ოსმალთა ჯარის ახალქალაქის და ახალციხის მაზრიდან გაყვანით ეს მაზრები საქართველოს რესპუბლიკას უბრუნდება. ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ ოსმალეთის მიერ ბათუმის და ბათუმის ოლქის დაცლას, და ჩვენი რესპუბლიკა ყოველ ღონეს იხმარს საქართველოს დაუბრუნოს ეს რაიონიც, რომელიც საქართველოს ბუნებრივს, განუყოფელს ნაწილს შეადგენს და ურომლისოდაც მისი არსებობა ძნელი, თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგანაც ბათუმი ეს ერთად ერთი ხეირიანი ნავთსადგურია საქართველოსი და ბათუმის ჩამოშორებით საქართველო ევროპას მოკვეთილი რჩება. ბათუმის რაიონის, ახალციხეახალქალაქის მაზრების დაბრუნებასთან ერთად, საქართველოს უბრუნდება დიდი რიცხვი მუსულმან-ქართველებისა. და ჩვენი რესპუბლიკის წინაშე ისევ დგება მათი საკითხი.

მრავალი ცნობები მოდის, რომ დასახელებულ რაიონებში წარმოებს გაცხარებული აგიტაცია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ: აგიტატორები ხალხს აშინებენ, საქართველოს მთავრობა მუსულმან მცხოვრებლებს დაუწყებს გასამართლებას და სასტიკათ დასჯის, შურს იძიებს მათზე იმ ღალატისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს მით, რომ ოსმალეთის მხარეზე გადავიდნენ. ამ აგიტაციის გამო ჩვენმა მთავრობამ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი: მან „მოწოდებით“ მიმართა ახალციხის და ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთ, სადაც იგი ხაზ გასმით ამბობს, ხმები ამნაირ გასამართლების და სასჯელის შესახებ „ბოროტ განმზრახველთა“ უტიფარი ცილის წამებაა“, და ჰპირდება, „ეს დასახელებული კუთხე თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ საქართველოს მთავრობისაგან მიიღებს გულწრფელ მზრუნველობას და ყოველ მხრივ დახმარებასო“. ამ „მოწოდებით“ მთავრობა მიმართავს, რასაკვირველია, ყველა მცხოვრებლებს, „განურჩევლად ეროვნებისა“, მაგრამ, რადგანაც ამ რაიონების მცხოვრები მუსულმანები დიდ რიცხვს შეადგენენ, ეს „მოწოდება“ მათ შეეხება.

მუსულმან-ქართველობამ, რასაკვირველია, დიდი დანაშაული ჩაიდინა, როგორც ქართველი ერის, ისე ისტორიის წინაშე, როდესაც იგი ოსმალებს მიუდგა, მაგრამ ეს დანაშაული უფრო შეცდომას, შეუგნებლობას და სიბნელეს უნდა მიეწეროს, ვიდრე წინასწარ განზრახულს, და მოფიქრებულს მოღალატეობას. მას რომ შესძლებოდა თავისი მდგომარეობის ყოველ მხრივ აწონ დაწონვა და თავისი ინტერესების შეგნება, მიხვდებოდა, რომ ისტორიული წარსული, ენა, კულტურა, დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა—ყველაფერი ეს, საქართველოსთან უფრო აკავშირებს ქართველ მუსულმანებს, ვიდრე ოსმალეთთან; მხოლოდ ბეგები და მსხვილი მემამულეები არიან დაინტერესებულნი, რომ მუსულმან-ქართველებით დასახლებული კუთხეები ოსმალეთს ეჭიროს, რადგან ოსმალეთი მათ მიწებს შეანარჩუნებს, საქართველოს რესპუბლიკა კი მათს მიწებს, ქართველ-მუსულმან გლეხებს უპირებდა გადაცემას. ასე რომ, გლეხების, ე. ი. მუსულმან მცხოვრებთა დიდი უმეტესობის სარგებლობა მოითხოვს „ორიენტაციას საქართველოზე“, ბეგების სარგებლობა კი—„ორიენტაციას ოსმალეთზე“. ოსმალეთის შემოსევის დროს ბეგების „ორიენტაციამ“ გაიმარჯვა ქართველ მუსულმანებში: მათ ერთი მკვეთრი იარაღი ჰქონდათ მუსულმან-გლეხების მოსატყუებლათ—სარწმუნოება. მათ ოსტატურათ დამალეს, რომ „ორიენტაციის“ საკითხი პირველ ყოვლისა მიწის საკითხია, მათ ისე მოაჩვენეს მცხოვრებლებს, თითქოს აქ უპირველესად სარწმუნოების საკითხი დგას, თითქოს საქართველოს რესპუბლიკაში შესვლა თავის სარწმუნოების დაკარგვას და გაქრისტიანებას უდრის. ოსტატურათ წარმოებულმა აგიტაციამ თავისი გასჭრა, გაუნათლებელი მუსულმანი ქართველობა შეცდომაში შეიყვანა, დაუფანტა თავის მდგომარეობის გათვალისწინების და სარგებლობის შეგნების უნარი და ოსმალეთისაკენ აქნევინა პირი.

განვლილმა ნახევარ წელიწადმა ბრმასაც კი დაანახვა, რას წარმოადგენს ოსმალეთის მფლობელობა ქართველ მუსულმანებით დასახლებულ რაიონებში. ოსმალთა ასკერების აღვირწახსნილ თარეშობას უნდა გონზე მოეყვანათ მუსულმანი ქართველები, მათ უნდა ცხადათ დაენახათ, რომ ოსმალთა „ერთმორწმუნე“ ჯარი მათ უკანასკნელ სარჩო საბადებელსაც აღარ შეარჩენს.

შეცდომის შეგნება და თავის საქციელის გულწრფელი შენანიება—აი მხოლოდ რა არის საჭირო, რომ საქართველოს მთავრობამ სიხარულით მიიღოს უკან-დაბრუნებული „უძღები შვილი“ და განსაკუთრებულ მზრუნველობით მოეპყრას მას. საქართველოს წიაღში დაბრუნება ქართველ მუსულმანებისა მოუტანს მათ არა შურისძიებას საქართველოს რესპუბლიკის მხრით, არა გასამართლებას და სასჯელს, არამედ მაჰმადიან გლეხთათვის მიწების მიცემას, მათს სარწმუნოების სრულს ხელშეუხებლობას, მათზე გავრცელებას ყველა იმ დემოკრატიულ „თავისუფლების“, რომლითაც დღეს საქართველოში მცხოვრები ერები სარგებლობენ და რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებას მოუტანს მათ მომავალში, თუ კი საქართველოს დამოუკიდებლობა განმტკიცდება, ყველა მისი შვილების თანამშრომლობით განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

## პ რ ე ს ა

ქსნის ხიდის აფეთქებამ და დაშნაკელების პრესის აღვირ-წახსნილმა აგიტაციამ ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ, ცხარე კამათი გამოიწვია ადგილობრივ გაზეთებში. „სახალხო საქმე“-ში ზ. ს. ფირცხალავა ამ მოვლენას ხსნის ჩვენი მთავრობის პოლიტიკის სისუსტით. ის სწერს:

„განა რაც მოხდა უკანასკნელ დღეებში—აი ეს ხიდის აფეთქება, დაშნაკელების გამოლაშქრება—მართალია, სრულებით არაჩვეულებრივია ჩვენს ცხოვრებაში და სრულებით მოულოდნელი? არა, ჩვენმა სიმტკიცის უქონლობამ ნიადაგი მოუმზადა და ხელი შეუწყო ყველაფერს ამას. და არა მარტო დაშნაკელები ეპყრობიან ასე უდიერად და უპატივცემლოდ ჩვენს სახელმწიფო აღმშენებლობას: მთელი თფილისი ბუდეა ათასგვარ პროვოკაციის და შეთქმულობის, მთელი თფილისი ვულკანია, რომელმაც შეიძლება სულ ადვილად ამოფეთქოს და ერთიან წალეკოს, თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული—ზომები არა კერძო და საგანგებო რეპრესიებისა, არამედ მტკიცე სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა.

* * *

ამავე საკითხს ეხება მთავრობის ოფიციალური ორგანო „საქართველოს რესპუბლიკა“. მოწინავე წერილში შემდეგნაირათაა დახასიათებული დაშნაკელთა პოლიტიკა და ჩვენი მთავრობის დამოკიდებულება ამ პოლიტიკასთან:

„საქართველოს მთავრობამ 8 ნოემბრის სხდომაზე ღირსეული პასუხი გასცა პროვოკატორულ კომპანიას და მიუჩინა სისხლის მოსურნეთ, ერთაშორის შუღლის ჩამომგდებთ შესაფერი ადგილი, დაასვა დაღი მზაკვრობისა და სისაძაგლისა მათ მახინჯ სახეს. მთავრობის თავმჯდომარის ბ. ნ. ნ. ჟორდანიას პასუხი, პასუხი საფუძვლებით დასაბუთებული და ფაქტებით აღჭურვილი, ააშკარავებს დაშნაკელთა სიკოტრეს და სიმახინჯეს. გამოაშკარავდა მათი სულისკვეთება და ბნელი მიზნები.

მიუდგომელი ისტორია სავსებით განსჯის ყოველივეს და დაშნაკელთა მოღვაწეობას სამარცხვინო ბოძზე გააკრავს სომხეთის დემოკრატიის ხელით“.

* * *

ამავე საკითხს ეხება გაზეთი „საქართველო“. დაშნაკელების თავაშვებულობას ის ხსნის ჩვენი მთავრობის ლმობიერებით. ის სწერს:

„ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძემ იცოდა დაშნაკელების ასეთი ოინები, როცა სომხები მტირალა ბავშვს შეადარა, რომელსაც, როცა ჰკითხეს რათ სტირიო, სთქვა: გემიდის და მიტომო. სომხებს აქამდი გაუდიოდათ ტირილი, მაგრამ დროა ჭირვეულმა ბავშვმა გაიგოს, რომ მოფერებისა და დაყვავების დრო წავიდა და მასთან ერთად წავიდა ინტერნაციონალისტური მგრძნობიარობის დროც. ეს ნათლად დაამტკიცა პარლამენტის უკანასკნელმა სხდომამ, ამას იმედია დაამტკიცებენ საქართველოს მთავრობის ენერგიული ღონისძიებანიც“.

## დამარცხებული გერმანია და ინტერნაციონალი

ომის დასაწყისში გ. ვ. პლეხანოვი თავის ბროშიურაში „ომი“ პასუხად სახელ-განთქმულ „ინტერნაციონალისტ“—ლენინცებს, რომელნიც უკიჟინებდნენ მას პატრიოტობას და თვით-მპყრობელობის ლაქიაობას, დაახლოვებით სწერდა შემდეგს: როდესაც შეიარაღებული გერმანიის იმპერიალიზმს მოაქვს იერიში სხვა და სხვა სახელმწიფოებზე, კერძოთ რუსეთზე და მათ უქადის განადგურებას საერთაშორისო დემოკრატიას, მე მოვალეთ ვთვლი ჩემ თავს დავიცვა ჩემი სამშობლო და კიდევაც ვკისრულობ პატრიოტობას, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობითო.

გერმანიის იმპერიალიზმი და პრუსიის მილიტარიზმიო, განაგრძობდა პლეხანოვი, თუ შეერთებული ძალებით არ დაამარცხეს იგი, წარმოადგენს მთელ კაცობრიობისთვის საშინელ ბოროტებას და საშიშროებას, რომელთან შედარებით რუსეთის თვითმპყრობელობა არარაო ჩათვლებაო.

ამიტომ არ მიმაჩნია სირცხვილათ, პირიქით, ვთვლი სავალდებულოთ ბრძოლას თავდამცემ იმპერიალიზმთან, თვითმპყრობელობის ჯარის შემწეობითაო (ჯარი ხომ ხალხისგან შესდგებაო)

რუსეთს რომ ჩაედინა ეს უსამართლობა, დასცემოდა გერმანიას მისი ხალხის გასანადგურებლათ და დასამონავებლად, პირველი მე ზურგს შევაქცევდი ჩემ სამშობლოს და როგორც ინტერნაციონალისტი დავიცავდი მთელი ჩემი არსებით გერმანიის ხალხსო. იმავე ხანებში ერთ-ერთ კონფერენციაზე ჟენევაში ჩვენ შეკითხვაზე, „რა შეხედულებისაა ომზე (ომი ბოლომდის) „jusqu'au bout“ და ზავზე ბერლინში,“ *) პლეხანოვმა გვიპასუხა: „ჩემთვის ამ ფრაზით „jucqu'au bout“-ს და ზავს ბერლინში არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, არც მგონია ხანში იქამდის მივიდესო. ჯერჯერობით გერმანია შემოჭრილია საფრანგეთის და რუსეთის საზღვრებში, ბელგია, სერბია დაპყრობილი აქვს და თუ შეთანხმების სახელმწიფოები შეერთებული ძალებით მოახერხებენ დააბრუნონ გერმანია უკან, დაატოვებინონ დაკავებული ადგილები, ეს უკვე დამარცხება იქნება გერმანიის იმპერიალიზმისა და ხალხთა განთავისუფლება.

გამართლდა სიტყვები გ. ვ. პლეხანოვისა.

მხოლოდ გამართლდა მეტად შეგვიანებით ის, რაც უნდა მომხდარიყო გაცილებით ადრე.

მართლაც, საერთაშორისო დემოკრატიას რომ მიეღო და შეეგნო პლეხანოვის კონცეპცია მსოფლიო ომის შესახებ, თქმა არ უნდა შეთანხმების სახელმწიფოებში არ იჩენდა თავს შინაური უთანხმოება, სამოქალაქო ომი რუსეთში, პირიქით სოლიდარული და ერთსულოვანი გამოსვლით და შეტევით უფრო ადრე წამოაჩოქებდნენ გერმანულ იმპერიალიზმს, დააბრუნებდნენ უკან და მით აარიდებდნენ კაცობრიობას ზედმეტი სისხლის ღვრას და აწიოკებას და თვით გერმანიის ხალხს, იმ ხიფათს, რომლის წინაშე იგი სდგას ამ ჟამად მედად გახსნილ ამერიკის იმპერიალიზმის წყალობით.

აშკარაა, ამერიკის ინდუსტრია-ტეხნიკამ სძლია გერმანიის ინდუსტრიატეხნიკა. მის იმპერიალიზმმა დასცა გერმანული იმპერიალიზმი, დააბრუნა უკან.

ინგლის-საფრანგეთსაც გაღვიძა იმპერიალისტური მადა.

რუსეთის ჩამოშორებამდე და ამერიკის გამოსვლამდე, ომის პირველ წლებში, შეთანხმების სახელმწიფონი ადგნენ მარტო თავდაცვის ტაქტიკას, მხარს უჭერდნენ ყოველ ნაბიჯს, მიმართულს დემოკრატიული ზავისაკენ.

დღეს მდგომარეობა შეიცვალა. თუ გუშინ აღვირ-აშვებული გერმანიის იმპერიალიზმი მსხვერპლით და ნგრევით მიექანებოდა წინ და თითქმის მთელ კაცობრიობას ემუქრებოდა, უპირებდა დაპყრობას, დღეს იგი გაურბის თავზარდამცემ ამერიკის იმპერიალიზმს. თუ გუშინ გათამამებული პრუსიის მილიტარიზმი ყურს იყრუებდა ყოველ წინადადებაზე დემოკრატიულ ზავის შესახებ, დღეს გერმანიის ხალხი მოწინავე დემოკრატიის მეთაურობით გამოდის გულწრფელ მომხრეთ დემოკრატიული ზავისა და უწვდის ძმურ ხელს ომისაგან დაჭანცულს და სისხლით დაცლილ ხალხებს.

ძლიერი ამერიკა, რომელიც დღეს გამოდის კაცობრიობის, კერძოთ გერმანიის ბედ-იღბლის გადამწყვეტელათ, უძლიერებს ინგლის-საფრანგეთსაც იმპერიალისტურ მადას და უქადის ავსტრო-გერმანიას დანგრევა-დანაწილებას.

დადგა სწორეთ ის მომენტი, რაზედაც ამბობდა პლეხანოვი. როდესაც ცენტრალურ სახელმწიფოთა თვით არსებობას ემუქრებიან, დემოკრატია შეთანხმების ქვეყნებისა მოვალეა ზურგი შეაქციოს თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობებს, ამოუდგეს გვერდში გერმანიის დემოკრატიას და მასთან ერთად

---

*) ზოგიერთი ფრთ სოც.-პატრიოტები გაიძახოდნენ, რომ გერმანელებს ზავზე ხელი უნდა მოვაწერინოთ ბერლინშიო.

ა. ა.

ჩამოაგდოს ხალხთა შორის მშვიდობიანობა და თვით გერმანიის ხალხი გადაარჩინოს დაღუპვისაგან.

შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა აკისრებს სოციალისტურ ინტერნაციონალს დიდ და მძიმე ვალდებულობას კაცობრიობისადმი, რომელიც დღეს სდგას ორი საფრთხის წინაშე—ამერიკის იმპერიალიზმის და საერთო ანარქიულ მოძრაობისა ევროპაში. ანარქიული ანუ ბოლშევიკურ მოძრაობის ნიშნები უკვე ჩნდება ავსტრიაში, სადაც, როგორც გადმოგვცემენ უკანასკნელი ცნობები, შემდგარი სალდათთა ცენტრალური კომიტეტი, რომელიც იჩენს შეურიგებლობას და როგორც ბოლშევიკური ანარქია-უწესოებამ დაღუპა რუსეთი, ჩაკლა იქ დემოკრატიული მოძრაობა და მით გაათამამა გერმანიის იმპერიალიზმი, ისე ანარქია ევროპაში, თუ კი მან მოიკიდა ფეხი და სათავეშივე არ ჩაქრა, იმსხვერპლებს მთელ საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობას და მით მოუმზადებს ნიადაგს მთელ დედამიწის ზურგზე ინგლის ამერიკულ იმპერიალიზმის გაბატონებას. გათამამებული იმპერიალიზმი, თქმა არ უნდა, მოაქცევს საერთაშორისო გაბატონებულ კაპიტალის ფარგლებში ყველა ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს, გახდის მათ უბრალო კოლონიებათ და იქ, სადაც ამას მოითხოვს ინტერესი კაპიტალისა, კი დევაც არ დაერიდება შეკვეცოს ან სრულიადაც გააუქმოს სახელმწიფოებრივობა მცირე ხალხებისა და მით გაბათილოს ის უფლება ერთა თვითგამორკვევისა, რომელიც წამოაყენა საერთაშორისო დემოკრატიამ მსოფლიო ომის პროცესში. ამ გვარად გამარჯვებული იმპერიალიზმი ემუქრება მთელ კაცობრიობას მცირე ხალხების დაჩაგვრით, საერთაშორისო დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის ჩაქრობით და სოციალისტური მიზანისაგან დაშორებით. სწორეთ ეხლა სოციალისტურ ინტერნაციონალს მოეთხოვება მეტი, ვიდრე ოდესმე, სიფხიზლე, მეტი ენერგია, მეტი უნარი. მართალია, თითქმის ყველა ქვეყნებში დემოკრატია იკრებს ძალებს, ცდილობს იქონიოს გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაზე, იძლევა ერთგვარ გარანტიას იმპერიალისტური საფრთხის თავიდან ახაცილებლად, მაგრამ თუ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკა სათავეშივე არ ჩაიკლა, ზემოთ ხსენებული საფრთხე აუცილებელია. ამისათვის ინტერნაციონალი უნდა ჩაუდგეს გამოღვიძებულ საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობის სათავეში, შეაერთოს ყველა ქვეყნის დემოკრატია, არ მისცეს გასაქანი ანარქიას და გამსჭვალულმა ერთსულოვნობით, შეერთებული ძალა დაუპირდაპიროს და ალაგმოს ამხედრებული იმპერიალიზმი.

ჩვენი საქართველოს დემოკრატიაც, გაწყვეტილი რუსეთის რევოლიუციაში, ჩაებმება ამ საერთო ინტერნაციონალურ მოძრაობაში და ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწევს იმ გზით, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა ბედნიერ მომავლისაკენ.

ქ. კახელი.

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 11 ნოემბერი.

**რა ხდება გერმანიაში?**

თუ რა ხდება გერმანიაში,—ეს ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი წყაროდან. ეს წყაროა: შეიდემანის სიტყვა, წარმოთქმული რეიხსტაგში. ამ სიტყვაში ნათქვამია, რომ იმპერატორი ვილჰელმი და კრონპრინცი გადიდგნენ. გერმანიაში შესდგა ახალი მთავრობა, რომლის სათავეშია სოციალ-დემოკრატი ებერტი. ახალ მთავრობას გამოუშვია მოწოდება, სადაც ამბობს, რომ ახალი მთავრობა გერმანიაში ებერტის მეთაურობით, რომელიც ცდილობს მომხდარი გადატრიალება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩატარდესო.

ბერლინში შესდგა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო. სოციალისტებში განხეთქილებაა და იდეური ბრძოლა სწარმოებს. უმრავლესობა—სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია—ახალ მთავრობას მხარს უჭერს და სრულ ნდობას უცხადებს მას და იგი მოითხოვს დამფუძნებელი კრების მოწვევას. დამოუკიდებლები—რომელთა სათავეში სდგას ლიბკნეხტი, ჰააზე, ბარტი—მოითხოვენ დაუყონებლივ სოციალისტური წესწყობილების დამყარებას.

მთავარი გერმანიის რადიო-სადგურები ახალი მთავრობის ხელშია. ახალი მთავრობის ცნობით გადატრიალებას უსისხლოთ ჩაუვლია. ხდება ეს მარტო ბერლინში (პრუსიაში); თუ გერმანიის სახელმწიფოს სხვა ნაწილებშიც,—ბავარიაში, საქსონიაში, ვიურტენბერგში—ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ჯარები ახალი მთავრობის მხარეზეა.

ამ ამბების შესახებ დელეგაციას ჯერ ოფიციალური ცნობა არ მოსვლია.

**დასავლეთის ფრონტზე**

უკანასკნელი სამხედრო ცნობაა, რომ დღემ დასავლეთის ფრონტზე მშვიდობიანად ჩაიარა.

**ზავის საკითხი.**

გერმანიის საზავო დელეგაცია, რომელიც ბერლინიდან გაემგზავრა დროებითი ზავის ჩამოსაგდებად და მოლაპარაკების დასაწყებად,—უკვე მივიდა პარიზში.

**მოკავშირეთა სახელმწიფოებში.**

თუ რა ხდება და როგორია მდგომარეობაა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ამის შესახებ დელეგაციას არავითარი ცნობები არ მოსვლია.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

9 ნოემბერი

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა. შელდის დასავლეთის ნაპირზე ჩვენ მიერ დაცლილი ტურნეს ნაწილი ინგლისელებმა დაიჭირეს, შელდის და უაზის შუა, მაასის დასავლეთით, ჩვენ მწყობრათ უკან დავიხიეთ. ზოგიერთა წინა ხაზებთან ბრძოლა გაძლიერდა. ამ სექტორში მტერმა მიაღწია პერუველის ხაზს, სენ გილსენის და მობეჟის დასავლეთით, ავესნას აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაასის დასავლეთით ლიარტპარდენის ხაზზე და სედანის დასავლეთით მტერი წინსვლას განაგრძობს. მაასის აღმოსავლეთ მაღლობებზე დრო გამოშვებითი ბრძოლაა.

**ბერლინი.** 9 ნოემბერი. საღამოს სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** დასავლეთის ფრონტი. ორშანის მიმართულებით ლანიოს სამხრეთით გერმანიის მოსაზღვრე რაზმები ზარბაზნებს უშენდა ჩვენ სადარაჯოებს. ჩვენმა მოსაზღვრე ჯარმა უკან დაიხია. გერმანიის ჯარმა დაიჭირა (?) (დამახინჯებულია). ვორონეჟის მიმართულებით ფრონტის ხაზებზე ყაზახები დამარცხდენ და იძულებულნი შეიქნენ ბობროვის მაზრაში რამდენიმე სოფელი დაეტოვებიათ. **პარიზი.** გერმანიის დელეგატები პარასკევს დილით მარშალ ფოშთან მივიდნენ და ოფიციალურად სთხოვეს დროებითი ზავზე მოლაპარაკების დაწყება. მოკავშირეებმა პირობები მიილეს (?). დელეგატებმა სამხედრო მოქმედების შეწყვეტა ითხოვეს, რაზედაც უარით უპასუხეს. დელეგატებმა სთხოვეს მათ ამის შესახებ აცნობონ გერმანიის მთავრობას კურიერის საშუალებით, კურიერი გაემგზავრა. გერმანიის ჯარის უფროსთან პასუხის ვადა ორშაბათ დილის 11 საათამდეა. **ლიონი.** 9 ნოემბერი. ბრიტანიის ჯარი მობეჟიდან ორი მილის მანძილზეა. ამერიკელებმა სედანი დაიჭირეს. რკინის გზის გასწვრივ ფრანგები სდევნიან უკან დახეულ გერმანელებს. იტალიის ჯარი შევიდა მერანო ბოლცანოში. მოკავშირეთა ჯარმა უკვე დაასრულა ბოსფორის და დარდანელის ოკუპაცია. ნაღმებს იღებენ. **კიევი.** ცნობაა რომ ვილჰელმი გადმოდგა ტახტიდან. **მოსკოვი.** უკანასკნელი ცნობით გერმანიის ჯარისკაცებმა დაატუსაღეს გერმანიის გენერალთა კომისია, რომელიც დროებითი ზავის მოსალაპარაკებლათ გაემგზავრა. გერმანიის ჯარის კაცები დამოუკიდებელ მოლაპარაკებას აწარმოებენ ფრანგ ჯარისკაცებთან. კაიზერი ვილჰელმი ტახტიდან გადადგა. კანცლერი პრინც მაქს ბადენი თანამდებობიდან გადადგა. ახალ კანცლერათ ინიშნება მთავრობის სოციალ-დემოკრატი, ებერტი. სამხრეთ გერმანიის ყველა დიდ ქალაქებში საერთო გაფიცვაა. გერმანიის ფლოტი რევოლიუციის მომხრეა. ფლოტის ხელშია ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის ნავთსადგურები. დღის გერმანიიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ რევოლიუციაა. პირველათ კილში გადავიდა ძალა-უფლება მუშათა და მეზღვაურთა საბჭოების ხელში, შემდეგ კი ბერლინში. **მოსკოვი.** 23 საათი ყველას, ყველას. ზომები მიეღეთ, რომ ყველა მოსაზღვრე პუნქტებში გერმანელ ჯარისკაცებს შემდეგი შეატყობინოთ: ბერლინიდან გვაუწყეს, გერმანელმა ჯარისკაცებმა ფრონტზე დააპატიმრეს ძველი მთავრობის საზავო დელეგაცია და თვით დაიწყეს მოლაპარაკება ზავზე ფრანგ ჯარისკაცებთან. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი.

**ბერლინი.** 10 ნოემბერი. სამხედრო ცნობა. ყველა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

**გერმანული პრესის ცნობა.**

ბერლინში აქამდე საერთოდ სიწყნარეა. ადმინისტრაციის და ორგანიზაციულათ შეკავშირებულ მუშების მიერ მიღებულ ზომების წყალობით, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რესტორანები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი ჩვეულებრივათ მოქმედებენ. მუშაობა არ შეუწყვეტიათ აგრეთვე თეატრებს და სინემატოგრაფებს. პარლამენტარულ მდგომარეობის გამოცვლის გამო რეიხს-კანცლერი პრინცი მაქს ბადენი თანამდებობიდან გადადგა. გაჩაღებულია მოლაპარაკება კოალიციურ მთავრობის შექმნაზე. სოც. დემ. უმრავლესობას, რომლის წარმომადგენელი ებერტი რეიხს კანცლერის, თანაშემწეობაზე მყოფი მართველობის სათავეშია ამ ჟამად ბ. დამოუკიდებელ სოც. დემ. და აგრეთვე სხვა პარტიათა შორის. სოც.-დემ. პარტიამ წინადადება მისცა დამოუკიდებლებს შექმნან მთავრობა, რომელშიაც ორივე მხრის წარმომადგენლები შევლენ თანაბრად; ის ამასთანავე ხელმძღვანელობს სურვილით, რომ ასეთ მძიმე დროს თავიდან აცილებულ იქმნას ყოველგვარი წინააღმდეგობა, რათა გერმანიის განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს ადგილი არა ჰქონდეს ძალმომრეობით გამოსვლებს, რომ მან მიაღწიოს თავის მიზნებს. დამოუკიდებლებმა მთავრობის წევრთა კანდიდატებათ დასახელეს: ჰააზე, ლიბკნეხტი და ბარტი. სოც. დემ. პარტიის გამგეობა მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ იუწყება: „დამოუკიდებლები მოითხოვენ, რომ გერმანია სოციალისტურ რესპუბლიკათ გამოცხადდეს, სოც. დემ. პარტიის მიზანი იგივეა, ხოლო მას სურს ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს თავის ხალხს და დამფუძნებელ კრებას. დამოუკიდებელნი მოითხოვენ აგრეთვე, რომ მთავრობის მთელი აღმასრულებელი საკანონმდებლო და იურიდიული ფუნქციები მთელი ხალხისა და ჯარის მიერ არჩეულ საბჭო პირებს გადაეცეს. სოც.-დემ. პარ. ეს მოთხოვნილება უარყო, რადგან იგი ნიშნავს ხალხის ერთი ნაწილის, ერთი კლასის დიქტატურას, რაც ეწინააღმდეგება ძირითად დემოკრატიულ საფუძვლებს. შემდეგი მოთხოვნილება დამოუკიდებლობისა, რომ მთავრობაში არ შევიდნენ ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენლები, სოც. დემ. პარტიამ უარყო, რადგანაც სურს არ შესწყდეს მცხოვრებთათვის სურსათის წესიერი მოწოდება. დამოუკიდებლებმა წინადადება წარმოადგინეს, რომ მათი წარმომადგენლები მხოლოდ 3 დღით შევიდნენ მთავრობაში, რათა ამნაირად შეიქმნეს მთავრობა რომელიც შესძლებს დროებითი ზავის ჩამოგდებას. სოც. დემ. ამის საპასუხოდ შემდეგი მოთხოვნილება წარმოადგინეს: ყოველ შემთხვევაში ორივე სოციალისტური მიმდინარეობა ერთად უნდა მოქმედებდეს დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

# საქართველოს პარლამენტი

**8 ნოემბრის სხდომა.**

გაგრძელება.

**შ. ქარუმიძე** (დამ. ნაც. დ.) აღნიშნავს, რომ სომხის მესვეურებმა იგრძნეს რა ინგლისის მოახლოვება, ბრძოლის მეთოდებიც შესცვალეს.

სომხეთი ასი წლის განმავლობაში ეყრდნობოდა გარეშე ძალას, სომხები სხვადასხვა გზით სცდილობდნენ ჩვენი ტერიტორიის ხელში ჩაგდებას, ეხლა კი სურთ ლტოლვილნი ჩაასახლონ ჩვენ მამულ დედულში და ათასგვარი არა პირდაპირი მახინაციებით ცდილობენ ფონს გავიდნენ. ჩვენი გზა და მოქმედება პირდაპირი და პატიოსანი არის. ჩვენ, რომელნიც შინ ერთი ერთმანეთს ვედავებით, და სხვადასხვა აზრს ვადგევართ, თუ კი სამშობლოს ინტერესები მოითხოვს, მზათ ვართ საქართველოს მთავრობის კალთის ქვეშ დავიხიზნოთ სამშობლოს კეთილდღეობისთვისაო.

**ბარხუდაროვი** (ლაპარაკობს რუსულათ) ლტოლვილთა საკითხს თავის ისტორია აქვს, რათა ყოველმხრივ გაშუქებულ იქნას ბურუსით მოცული საკითხი, საჭიროა ამის ყოველმხრივ შესწავლა და გაშუქება. ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ დღეს ეს შეკითხვა დაისმებოდა პარლამენტში და ადვილი შესაძლებელიც იყო, არც კი მოვსულიყავით კრებაზე. სომხების სახალხო პარტია მოითხოვს, რომ ეს საკითხი გაირჩეს შემდეგ სხდომაზე, რათა შევძლოთ დასაბუთებული პასუხი მოგახსენოთ და თუ ვინიცობაა, პარლამენტმა არ მიიღო ჩვენი წინადადება, მაშინ ჩვენი ფრაქცია ამ კითხვის გარჩევის დროს არ მიიღებს მონაწილეობას და თავს შეიკავებსო.

**ალ. ლომთათიძე** მოქალაქენო! ერთი შესწორება უნდა შევიტანო. ჩვენი შეკითხვა ლტოლვილებს კი არ ეხება, როგორც აქ სთქვეს, მას სულ სხვა აზრი აქვს, და თუ ლტოლვილების საკითხიც იყო, ეს იმდენათ, რამდენათაც ლტოლვილთა კითხვა ამ საკითხთან არის დაკავშირებული. დღეს ჩვენ შემოვიტანეთ შეკითხვა იმ ალვირ-წახსნილ აგიტაციის შესახებ, რომელსაც აწარმოებენ ზოგიერთი ჯგუფები. ყველა პოლიტიკური პარტია აქ უნდა გამობძანდეს და აღიაროს რას ფიქრობს იგი და რა გზას სურს დაადგეს საქართველოს დემოკრატიული პარლამენტი.

**ზორიანი** (დაშნაკ.). აღნიშნავს, რომ სომხის პრესაში ერთათ ერთი კითხვა არის, რომელმაც სხვა ყველა კითხვები ჩრდილში დააყენა. ყველას ლტოლვილთა ბედი აინტერესებს, ლტოლვილთა კითხვა სულ სხვა მდგომარეობაში არის ეხლა, ვიდრე ამ ორი თვის წინათ იყო. ორატორი ამბობს, რომ ის, რაც აღნიშნული იყო „ორიზონში“, რასაკვირველია, არ იყო ლიტერატურული ფორმით დაწერილი. იქ როგორც სხვა გაზეთებიც, ხშირათ, არა ლიტერატურული ენით სწერენ წერილებს. რაც შეეხება დაშნაკელების ღალატს, ეს გამოგონილი ზღაპარია და არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვს. არავისთვის საეჭვო არ არის, რომ ბევრი დეფექტები არის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ თუ საქართველოს რესპუბლიკას დასჭირდება დაცვა და გამაგრება, ჩვენი პარტიის წევრები პირველ რიგში იდგებიან და შეებრძოლებიან ყველას, ვინც მის განადგურების მოინდომებს (საერთო სიცილი) საჭიროა ლტოლვილთა საკითხის გადაჭრა.

**ივ გომართელი.** წინა სხდომაზე დაშნაკელების წარმომადგენელს წამოსცდა, „ჩვენი და თქვენი მთავრობა“. მეგონა ეს შეცდომით მოუვიდა მეთქი. ასევე სთქვა ბარხუდაროვმა „როდესაც თქვენმა მთავრობამ აქ აუარებელი საბუთები წარმოადგინა, მოგვეცით საშუალება მოვიფიქროთ და პასუხი ისე გაგცეთო“ (ტაში), როგორც სჩანს, აქ უყურებენ ჩვენს მთავრობას, როგორც მეორე მხარეს. მე კი მეგონა, რომ ისინი ჩასთვლიდენ თავს საქართველოს მოქალაქეებათ და ჩვენ მთავრობას აღიარებდნენ თავიანთ მთავრობათ. აქ ალ. ლომთათიძემ სამართლიანად აღნიშნა, რომ ისტორია დასდებს ბრალს და გაარჩევს სომხის ერის ბაქოში ხოცვა-ჟლეტასო. ბაქოს აღების დროს ოსმალთა მიერ იყო ხოცვა-ჟლეტა სომხის ერისა, მაგრამ იყო აგრეთვე ჟლეტა მუსულმანთა ერისა, ბაქოში ბოლშევიკების და გაბოლშევიკებული დაშნაკელების მიერ (ტაში). მე ზიზღით ვუყურებ ყოველივე ხოცვა-ჟლეტას (ადგილიდან: მართალია). ჩვენ უნდა დავგმოთ, როგორც ერთნი, ისე მეორენი. ქარუმიძემ ბევრი სიმართლე სთქვა, მხოლოდ ერთში არ იყო ის მართალი, როდესაც ბრალი მთელი სომხის ხალხისთვის სურდა მოეხვია. სომხის ხალხს ნდობა უნდა გამოეცხადოს. ორატორი აღნიშნავს, რომ ყოველთვის ძმობა ერთობა იყო ამ ორ მოძმე ერის შორის, სომხები იღებდენ მონაწილეობას სახელმწიფოს აღმშენებლობაში, ჰქონდათ ნათესაური კავშირი. ჩვენ ბრალს ვსდებთ იმ პირებს, რომლებიც ხელს უშლიან ახლა ამ ძმობა-ერთობის განმტკიცებას, როდესაც წარსულ კრებაზე ბრალს ვსდებდით დაშნაკელებს, მათმა ბელადმა განაცხადა, რომ ეს პროვოკაცია არისო. ახლა ხომ დარწმუნდით ბატონებო, რომ ეს სრული სიმართლე იყო. ქართული ანდაზა ამბობს; „წმინდა ბერი წმინდათ წაწყდაო“. ეს ანდაზა სწორედ ჩვენს მთავრობაზე და ხალხზე არის ზედ გამოჭრილი. მართლადაც, მეტისმეტის სიწმინდით შეიძლება წავწყდეთ კიდეც. ჩვენს რესპუბლიკას ბევრი მტერი ახვევია, მაგრამ არ მეგონა, რომ ჩვენი მტრები ამდენათ ალვირ წახსნილი და გარეცხილი იქნებოდენ. ერთგვარი რაინდობა მტერსაც მართებს. რაინდს თუ ხმალი გადაუტყდა, მოპირდაპირე ქარქაშში ჩააგებდა ხოლმე ხმალს, მამაცი გმირი უიარაღოს ვერ შეებრძოლებოდა. რა უნდა ეუთხრა ისეთ მტერს, ვინც ქურდულად ნელ ნელა მოგეპარება? მე დიდის ინტერესით მოველოდი, რას იტყოდა ზორიანი. მან სიტყვა ბანზე აგდო და სულ სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი. გაზ. „ჰორიზონზე“ მან სთქვა: ეს არა ლიტერატურული ფორმა არისო. ბატონებო, რა დროს ლიტერატურაზე ლაპარაკია, როდესაც ლამის აგვაფეთქონ. როდესაც საქართველოს გაუჭირდება, ჩვენ დავდგებით მის დასაცავათ პირველ რიგშიო. არ ვიცი, რომელ რიგში დადგებიან, მაგრამ როდესაც საქართველოს დანგრევა სურდათ, დაშნაკელები სანაითან პირველ რიგში იყვნენ. ნდობის მოსაპოვებლად ცარიელი სიტყვები არ კმარა. საჭიროა სიტყვასა და საქმეს შუა არაფერი იყოს. ორატორი მოუწოდებს მთავრობას სასტიკ ზომები მიიღოს საქართველოს მთლიანობის და რღვევთა წინააღმდეგ, თორემ ისინი ბევრს უბედურებას დაგვატეხენ თავზეო.

**არ. ჯაჯანაშვილი.** (ს. ფ.) კითხულობს იმ კორესპონდენციას, რომელიც მიუღია ერევნიდან. კორესპონდენციაში აწერილია აუტანელი მდგომარეობა სომეხ ლტოლვილების ქალ. ერევანში. დღეში ასობით ხოცებიან მშიერნიო. ნუ თუ შეიძლება ითქვას, რომ სომხის მთავრობამ თავის ხალხს ერევანში „მესოპოტამია“ გაუმართოს. ორატორი ეხება დაშნაკცუტიუნის პარტიის პოლიტიკას. იგონებს იმ დროს, როდესაც მათი ლიდერი ხატისოვი ერთდა იმავე დროს, თავისუფლად დაძვრებოდა მეფის მოადგილეს სახლში, და მუშების ბნელ სარდაფებსაც არ ივიწყებდა—ეს პოლიტიკა—ორპირული, ორ სკამზე ჯდომა ხატისოვისა დამახასიათებელია პარტიისთვის, ის მისი ტიპიური წარმომადგენელი არისო.

**ნ. ჟორდანია.** მოქალაქენო! ცხადია, რომ არ არის ლაპარაკი აქ მხოლოდ ლტოლვილთა შესახებ. ეს მხოლოდ საბაბი არის. აქ არის კითხვა იმ აგიტაციის შესახებ, რომელსაც ეწევიან. აი, ბატონებო ის გაზეთი, (აჩვენებს „ორიზონის“ 6 ნოემბრის ნომერს) აქ დიდი ასოებით აწერია „მოითხოვეთ სომხის ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნებაო“. აქედან გამოდის ის, თითქოს ჩვენ არ ვუშვებდეთ ლტოლვილთ, ეს ისეთი საზიზღარი ჭორი და პროვოკაცია არის, რომლის მსგავსიც არ ყოფილა (ტაში), ეს არის, ბატონებო, შუღლის თესვა. (ადგილიდან: ინგლისელები მოდიან). არ მგონია ინგლისელებმა ეს რომ წაიკითხონ, მოიწონონ. პრესის თავისუფლებას ჩვენ ვიცავთ, მაგრამ ასეთ ბოროტებას ხელს ვერ გადავაფარებთ. ასეთი ბოროტების წყარო არ არის მასის მიერ ნაკარნახევი, ეს მისი გულის ამონახეთქიდან არ იწერება. და როდესაც სომხის ხალხი მიხვდება რა სწორ გზასაც ჩვენ ვადგევართ, არ აჰყვებიან ალვირ წახსნილ აგიტატორებს და დაგმობენ მათ მიერ არჩეულ გზას. აქ განაცხადეს, რომ გენ. მაყაშვილს ჩვენ ვენდობითო, შეიძლება სხვა მისმა ხელქვეითმა შეგვატყობინათ ყველა ცნობებიო. მე ველაპარაკე სწორეთ გენ. მაყაშვილს. ის, რაც გადმოგვცა მან, ამტკიცებს სწორეთ მას, თუ რა სალი შეხედულებისა არის მასა. თვით ხალხი მოითხოვს მოგვაშოროთ აგიტატორები და ჩვენი ამრევ-დამრევნიო. კითხულობს იმ დოკუმენტებს, საიდანაც სჩანს, რომ საქართველოს მთავრობა და მის მიერ დანიშნული გენ. მაყაშვილი ცდილობდენ ლტოლვილთა საკითხის მოგვარებას.

შემოდის წინადადება კრება გადიდოს საღამოს 8 საათისთვის. წინადადება უარყვეს.

**ფირუმოვი.** აღნიშნავს, რომ ლტოლვილთა კითხვა ისეთი თავსატეხია, რომ მისი გადაჭრა და მოგვარება დიდ ენერგიას და მომზადებას მოითხოვს. საფრანგეთმა, რომლის სახელმწიფო აპარატიც საუცხოვოთ იყო მოწყობილი, ვერ შესძლო ლტოლვილთა საქმეთა მოგვარება და, რასაკვირველია, პატარა სახელმწიფოს არ ძალუძს ამაზედ მეტი გააკეთოს. ამ კითხვის გარშემო ახმაურდნენ შოვინისტები და სურთ დაიწყონ ახალი ავანტიურა, რომელიც ერთგვარ ზიანს მოუტანს როგორც სომხის, ისე ქართველ დემოკრატიასო.

**გერ. ქიქოძე** აღნიშნავს, რომ ეროვნულ შუღლს ქნიან არა ავანტიურისტები, არამედ—ეს ეროვნული შუღლი გამოწვეულია ორი ერის ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესებით. სომხის ერს მე 13 საუკუნის შემდეგ თავის საკუთარი სახელმწიფო აღარ ჰქონია და ისინი ცდილობენ შექმნან თავიანთი სახელმწიფო. რუსების შემწეობით ცდილობდენ ოსმალეთის დამხობას. და ასე მოექცევიან საქართველოს, სანამდის მათ გარკვეული ტერიტორია არ ექნებათ. რით აიხსნება ის, რომ სომხები ასეთ სასტიკ იერიშებს აწარმოებენ. ეს საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლამ გამოიწვია. მათ ინგლისის იმედი აქვთ, ინგლისს სომხეთი ეჭირვებოდა, როგორც დამრღვევი ელემენტი ოსმალეთის სახელმწიფოსი, მაგრამ როგორი შეხედულებისა არიან ინგლისელები სომხებზე. აი, ბატონებო რას მოგვითხრობს გაზეთი „ტანი“. კითხულობს წერილს, სადაც აწერილია სომხების ღალატი ბაქოში და ორატორი აღნიშნავს იმ იმპერიალისტურ მიდრეკილებას, რომელიც არსებობს სომხის ერში. სხდომა გადაიდო საღამოს 8 საათისთვის.

**საღამოს სხდომა.**

**სპ. ქედია.** (ნაც. დემ.) აღნიშნავს სომხების ნაციონალურ იდეას და ამბობს: ჩვენს მთავრობას და ხელმძღვანელ წრეებს თავიდანვე უნდა მიექციათ ყურადღება ამ გარემოებისათვის. ის, რაც მოხდა, იყო აუცილებელი ლოღიკური დასკვნა იმ პროცესისა, რომელიც ხდებოდა ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში. ჩვენ უნდა ვაღიაროთ აშკარათ, რომ სომხის ხალხს აქვს იდეია თავის საზღვრების გაფართოვების. ეს იდეია მათ აიძულებს იფიქრონ ქართველების განადგურებაზე. აქ ხაზს უსვამდენ, რომ დამნაშავეა, მხოლოდ სომხის ხალხის ნაწილიო, მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მთლიან ეროვნულ იდეასთან და არა პიროვნებებთან და ხალხის ნაწილთან. სომხის იდეია დიდი ხნის მუშაობის, ეს დღევანდელი საქმე არ არის. ისინი გვებრძვიან პრესაში, პრესის გარეთ, დამოუკიდებელ საქართველოს არსებობა—ეს ამ სომხის იდეიის განადგურება-მოსპობაა და აი სწორედ იმიტომაა, რომ ისინი ყოველგვარი საშუალებით ებრძვიან ჩვენს დამოუკიდებლობას. ამის საწინააღმდეგო ზომების მიღებაა საჭირო. მთავრობამ შესაფერი ნაბიჯი უნდა გადადგას. უნდა იცოდეს ჩვენმა მთავრობამ, რომ ასეთ შემთხვევაში მთელი საქართველო მასთან იქნება.

**რ. გაბაშვილი.** ჩვენ [illegible] რევოლიუციონერებს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი [illegible] რასაც შემდეგ ს.-დემოკრატები გააკეთებენ. ჩვენ ყოველთვის გავიძახოდით, რომ სომხის ხალხი ჩვენი მტერია და მათ საწინააღმდეგოთ ზომების მიღება საჭირო არის თქო. ორატორი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მთელი სომხობა დაშნაკელებს მისდევს და იქ არ არსებობს ის დემოკრატია, რომელზედაც იმედებს ამყარებს სოც.-დემოკრატია. ალ. ლომთათიძის შეკითხვაზე, რა გაკეთდეთო? ორატორი ამბობს: ყველა ეს მოღალატენი, დაშნაკელები უნდა დაიჭირონ, უნდა დახვრიტოს მთავრობამ და სომხის დემოკრატიას გაუგზავნოსო.

**თარხნიშვილი** (ს.-რ.) აღნიშნავს, რომ სომხეთის საკითხი ეს დიდი საკითხია, მაგრამ ის არ უნდა დაისვას საქართველოს, ანუ სომხეთ-ადერბეიჯანის თვალსაზრისით, ის უნდა დაისვას და განხილულ იქნას ამიერ-კავკასიის მასშტაბით. ორატორი ამბობს, რომ დაშნაკელების გაზეთში ისეთი არაფერი დაბეჭდილა, რომლის მსგავსი სხვა მიმართულების გაზეთებში ადგილი არ ჰქონოდესო. ის ეხება ლტოლვილთა უნუგეშო მდგომარეობას და ამბობს, რომ როცა ასეთს სურათს ხედავ კაცი ნუ თუ აღშფოთებას არ გამოიწვევსო.

**ავეტისიანი** (დაშნაკელი) აცხადებს, რომ მთავრობა სერიოზულ საკითხების გარჩევის დროს იწვევს ყველა ფრაქციების წარმომადგენლებს და მათთან ერთად ბჭობას აწარმოებსო. ასევე მოხდა ამ შეკითხვის დროსაც, მაგრამ ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელი არ იქნა მიწვეულიო.

ამ შეკითხვას აქვს სახელმწიფოებრივი ხასიათი, მაგრამ მემარჯვენე ორატორმა სულ სხვა კალაპოტში ჩააყენა საკითხი. ორატორი ილაშქრებს ნაც.-დემოკრატების წინააღმდეგ. შემდეგ ის აღნიშნავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა ქართველ სომხეთა შორის წარსულში და აცხადებს, რომ იმ დღიდან, როცა ალ. ლომთათიძემ დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომპანიაში წარმოსთქვა მიტინგზე სიტყვა, სადაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სომეხ თათართა ხოცვა-ჟლეტა დაშნაკელების მიერ არის მოწყობილიო, სწორეთ იმ დღიდან იზრდება უკმაყოფილებაო. ორატორი ეხება აგრეთვე ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობას და ამბობს, რომ არა მარტო „საქართველო არის სომხებისათვის „მესოპოტამია“, არამედ თვით სომხეთი და ადერბეიჯანიცო. (ხმები, რათ არ სწერთ აგრე? მე პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, ვინც მარტო საქართველოს სთვლის და უწოდებს სომხებისთვის მესოპოტამიას. ლტოლვილთა უნუგეშო მდგომარეობაში დიდი დამნაშავეა თვით სომხის საზოგადოება, რა გააკეთა მან ამის შესახებ? (ხმები: მერე რატომ ამას არ სწერთ?) არაფერი არ გაუკეთებია.

ფაქტიური შენიშვნისათვის სიტყვა ეძლევა მთავრობის თავმჯდომარეს.

**ნ. ჟორდანია** მოქალაქენო! მე მსურს მხოლოდ მოგახსენოთ ფაქტიური შენიშვნა. აქ პარლამენტის წევრმა ავეტისიანმა განაცხადა, რომ ხდება მთავრობას და ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებული კრება, მხოლოდ ჩვენს ფრაქციას ამ კრებებზე არ იწვევენო. მე უნდა განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ეს სიმართლეს მოკლებულია. ჩვენ ასეთი კრება არ გვქონია ამ უკანასკნელ ხანებში, არ გვქონია ასეთი კრება არც ამ საკითხის შესახებ, თორემ ყველა ფრაქციის წარმომადგენლებს მოვიწვევდით, ჩვენთვის ყველა ფრაქცია ერთია. ამას წინათ მე მივიღე რეზოლიუციები, რომელიც გამოიტანა დაშნაკცუტიუნის ორგანიზაციების კონფერენციამ. ამ რეზოლიუციებს და იმ კამპანიას შორის, რომელსაც აწარმოებენ „ორიზონში“ დიდი განსხვავება იყო. მე ვიკითხე, ვისი ორგანოა „ორიზონი?“ მიპასუხეს—„ორიზონი“ ეს აღმოსავლეთის ბიუროს ორგანოაო. თურმე მთელ ამიერ-კავკასიის საერთო ორგანიზაციას აქ, თფილისში ჰქონებიათ თავისი ორგანო და არა ერევანში. აქ სომხის მასსის შესახებ ლაპარაკობდნენ. მე უნდა განვაცხადო, რომ სომხის მასსა აქ არაფერ შუაშია. მას მშვიდობიანობა სურს. მხოლოდ ცენტრალური და სხვა ორგანიზაციები არიან დამნაშავენი, რომლებსაც მასსა შეცდომაში შეჰყავთ და იარაღისაკენ მოუწოდებენ. მე სომეხ ლტოლვილთა შესახებ გენერალ მაყაშვილისაგან მივიღე შემდეგი დეპეშა. ის კითხულობს დეპეშას, რომლის შინაარსი ასეთია: ლტოლვილები გადიან ჩვენს საზღვრებიდან, ოსმალები მათ ესვრიან. დახოცილთა რიცხვი დიდია. დაშნაკელები კი, სულ წინააღმდეგს ამტკიცებდნენ, თითქოს ჩვენ არ უშვებდეთ ლტოლვილებს, თორემ ოსმალები კი უშვებდნენ. მუდამ ასე ასამარებდა ეს პარტია სომხის ხალხს და დღესაც ასე ასამარებს. კომენტარიები ზედმეტია, ამის შემდეგ

თქვენ განსაჯეთ მათი საქციელი. (ხანგრძლივი ტაში).

**ირ. წერეთელი.** მოქალაქენო! დღეს ჩვენ აქ მოვისმინეთ ის ძირითადი საკითხი, რომლის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი. ამიტომ ჩვენმა ფრაქციამ პირდაპირ, დაუფარავად დასვა ეს საკითხი. საქმე ასე იყო. დაშნაკელთა ორგანოებში გაიმართა ისეთი ცილისწამება და პროვოკაცია, რომლის შედეგი, თუ კი მიაღწია შედეგს ამ ალვირ წახსნილმა პროვოკაციამ, იქნება სომხის რესპუბლიკის საზღვრებში ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ხალხის ამხედრება—სწორედ ამის შესახებ შეეკითხა ჩვენი ფრაქცია მთავრობას, იცის თუ არა ეს და თუ იცის, რა ზომებს ღებულობს. ყველაზე ცუდი ის არის, როცა მოწინააღმდეგეს ხმალს მოუქნევ, მოწინააღმდეგე არ დაგხვდება და მხოლოდ ჰაერს გააპობ. აქ გამოვიდნენ დაშნაკელები და განაცხადეს, რომ თვითონ ამ აგიტაციაში მონაწილეობას არ ღებულობენ, მაგრამ არ განუცხადებიათ ის, თუ როგორ უყურებენ ამ აგიტაციას და დაუჭერენ თუ არა მხარს ამ პროვოკაცია-აგიტაციასთან ბრძოლაში მთავრობას, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენთვის ცხადია, მხოლოდ უკეთესი იქნებოდა, რომ მათ ბოლომდის ეთქვათ. აქ ბ. კედიამ ნამდვილ პარლამენტარულ ფორმებში და სხვებმა კი ჩვეულებრივი ლათაიებით აღნიშნეს სომხის ხალხის ინტერესები, რომ ეს ინტერესები შეურიგებელია ქართველ ხალხის ინტერესებთან და სხვა, მაგრამ ბოლომდე არცერთს არ უთქვამს. მე შევეცდები ბოლომდე დავასურათო როგორც სომხის, ისე ჩვენი ნაციონალისტების ინტერესები. ფერდინანდ ლასალმა ერთი დიდი პოლიტიკური მცნება წამოაყენა, რომელიც არა მხოლოდ ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, არამედ—მთელმა მეცნიერებამ გაიზიარა და ჭეშმარიტებად აღიარა, ეს არის: დიდი პოლიტიკური საქმე ნახევრათ გაკეთებულია მაშინ, როცა წარმოთქმულია ის, რაც არის. და მე მსურს ვსთქვა, რაც არის. სომხის ეროვნული იდეის, რომელზედაც აქ კედია მოგვითხრობდა, განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან დაანგრია ქართველი ხალხი. ამიტომ ჩვენ გვესმის მიზანი იმ ხალხის, რომელნიც აქ მუშაობენ და რომელთაც სურთ გამოიწვიონ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ანარქია და ძმათა შორის სისხლის ღვრა. ახლა მეორე მხარეს მინდა შევეხო. ორატორი ახასიათებს ქართველ ნაციონალისტების მისწრაფებებს, ააშკარავებს მათ ზრახვებს და ამბობს რომ მათი (სომხის და ქართველი ნაციონალისტების) პოლიტიკა ერთია ორ საწინააღმდეგო მიზნისკენ მიმართული ერთ, პრინციპზე აშენებული. მე ამ ტრიბუნიდან ვაცხადებ საქართველოს დემოკრატიის სახელით, რომ ჩვენ ორივე პოლიტიკას სასტიკათ შევებრძოლებით, ჩვენ ვიცით, რომ თუ კი სისხლის ღვრა გაიმართა, მაშინ ორივე ერი დამარცხებული გამოვა, რადგანაც ბოლო არ მოეღება ამ შუღლს და მტრობას. და ყოველთვის მოსალოდნელი იქნება სისხლის ღვრა. არა მგონია, რომ ვინმემ ეროვნული მიკერძოება დამწამოს, მე ქართველი ნაც.-დემოკრატები ისე მეჯავრება როგორც სომხის. ჩვენმა რეაქციონერებმა როცა ევროპის ძალა მოახლოვდა (გერმანია) ფრთაშეესხათ, აღიძრათ ავანტიურისტული მისწრაფებები, ასე ემართებათ დღეს სომხებს. მათმა ნაციონალიზმმა იგრძნო თუ არა ევროპის ძალის მოახლოვება, წამოდგა და ავანტიურისტული მისწრაფება-მიდრეკილებებით მოძრაობა დაიწყო. ჩვენ ენერგიულად შევებრძოლეთ მაშინ ნაციონალ დემოკრატების მისწრაფებებს და ეხლაც სასტიკად შევებრძოლებით სომხის ნაციონალისტების ასეთ ზრახვებს. ჩვენ ვებრძვით ყოველივე ძალას, რომელსაც მიჰყავს ომისათვის, რომ თავისი ანუ მეზობელი ხალხი დაანგრიოს, მაგრამ აქ ანგარიშში ტყუვდებიან. ევროპიული ძალა იცნობს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის დასანგრევად ის არ გაილაშქრებს. (ტაში).

გ. ნაციონალ დემოკრატები გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვიმეორებთ დაშნაკელებზე იმას, რასაც ისინი ამბობდნენ და სხვა. ეს მართალი არ არის. ჩვენ ვხედავთ ამ საშიშ მდგომარეობას, სწორედ, დაუფარავად ვახასიათებთ მას, ჩვენ ვიცით, შედეგები დამოკიდებულია არა მარტო იმ მხარის გან, რომელსაც ნაციონალიზმი ამოძრავებს, არამედ—იმისაგანაც, თუ როგორ დაუხვდები მას. ჩვენ ვიცით ის მაგალითი, თუ რა მოჰყვა შედეგათ იმას, როცა ორი ნაციონალური იდეა ერთმანეთს დაეტაკა—შედეგი იყო ის, რომ ორივე სისხლით დაიცალა, ჩვენ გამოგვაქვს პროვოკაცია სააშკაროზე, ვამხელთ მათ განზრახვებს და არამც და არამც ფართე მასას არ ვახვევთ ამ საზიზღრობას თავზე. ჩვენ რომ ასეთს პოლიტიკას არ ვაწარმოებდეთ, მაშინ არ შეგვეძლებოდა გვეთქვა საერთაშორისო ინტერნაციონალის წინაშე, რომ ჩვენში მიუხედავათ იმისა, რომ ეროვნული შუღლი არსებობს, ჩვენის მეცადინეობით ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა (ტაში). თქვენ (მიუბრუნდება ნაც.-დემოკრატებს) რომ თქვენ რასაც გვეუბნებით დაშნაკელების შესახებ, იცით თუ არა, რომ მათაც ის უნდათ, ისინი მოწადინებული არიან, რომ სისხლის ღვრა გამოიწვიონ? იცით თუ არა დემოკრატიულ ფრონტიდან მათთან (დაშნ.) ასეთი ბრძოლა სატირელია? ისინი ამ ფრონტზე ვერ იმარჯვებენ (ტაში). მუსავატებზე ისინი იმარჯვებენ. (თუმცა, რასაკვირველია ისინიც ძლიერ ხოცავენ), მაგრამ დემოკრატიაზე ისინი ვერ გაიმარჯვებენ. სწორედ ძლიერი დემოკრატიის არსებობით აიხსნება ის გარემოება, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ქართველ ხალხთან, რომელიმე ერს შეტაკება ჰქონოდეს. (ნაც.-დემ.) როგორია შედეგი დემოკრატიის ძლიერების? შედეგები შეიძლება ჯერ სავსებით არ არის ნათელი, მაგრამ ერთი კი აშკარაა: ჩვენს ხალხს ავაცდინეთ საშინელი სისხლის ღვრა და დღეს ქართველმა ხალხმა უნდა უჩვენოს მაგალითი მეზობლებს თუ როგორ უნდა სოლიდირობის ერთობის განმტკიცება (ხანგრძლივი ტაში).

**მიკირტუმოვი.** (ს. დ.) აცხადებს, რომ სომხის ხალხი საშინლად გმობს პროვოკაციას და სურს ქართველ ხალხთან ძმურად მეგობრულად ყოფნა. დემოკრატია ეტრფის მშვიდობიან ცხოვრებას, მას მის მოძმე დემოკრატიასთან გასაყოფი არაფერი არა აქვს.

**ა. ფარნიევი.** (ს. დ.) თავის სიტყვაში ააშკარავებს დაშნაკელების პოლიტიკას, ეხება მათ ზრახვებს და მისწრაფებებს და ამბობს, რომ დემოკრატია იმდენათ ძლიერია, რომ კაციჭამია ნაციონალიზმს არ აყვება და მშვიდობიან ცხოვრებას არ დაარღვევსო.

პარლამენტმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა შეკითხვა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა შესახებ თფილისის ზოგიერთ სომხურ გაზეთებში გაჩაღებულ აგიტაციისა და მთავრობის განმარტება ამ შეკითხვაზე, პარლამენტი აღნიშნავს, რომ ასეთი სრულიად ყალბ ცნობებზე დაყრდნობილი აგიტაცია მიზნათ ისახავს სასკვდილო ლახვარი ჩასცეს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დემოკრატიულ წყობილებას, სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდება ამ საფრთხეს და მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლება იმათ, ვინც ორ მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრის გამომწვევ პოლიტიკას აწარმოებს; სრულს ნდობას უცხადებს მთავრობას, აღუთქვამს მას თავის დახმარებას და გადადის მორიგ საკითხზე.

ამასთანავე იმ საშინელი ჭორებისა და ცილის წამების გასაფანტავად, რომელსაც ავრცელებენ საქართველოს მცხოვრებთა ფართო მასაში ამა საქმის გარშემო სიმართლის აღსადგენათ, პარლამენტიადგენს: მთავრობის თავმჯდომარის მიერ ზემოხსენებულ შეკითხვის საპასუხოდ წარმოთქმული დასაბუთებული განმარტებანი დაუყოვნებლივ დაიბეჭდოს ქართულ, სომხურ, რუსულ და თათრულ ენებზე და გაკრულ იქნას თფილისსა და საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და დაბა-სოფლებში“.

# ახალი ამბები

**ს.-დ. მ. პ. საოლქო ყრილობის სხდომა** შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში. დღის წესრიგშია საოლქო კომიტეტის მოხსენება. მოხსენებას გააკეთებს ნ. ჟორდანია.

**სომხური გაზეთი „ორიზონ“-ი** თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დახურა სამხედრო წესების მოხსნამდე.

**სავალდებულო დადგენილებანი.** ქალაქ თფილისის და მისი მიდამოების მცხოვრებთათვის გენერალ-გუბერნატორის გენ. მაზნიაშვილის ხელმოწერით გუშინ გააკრეს თფილისის ქუჩებში. გენერალ-გუბერნატორი მოუწოდებს მცხოვრებთ დაიცვან მშვიდობიანობა და წესრიგი, ჩააბარონ იარაღი მთავრობას და აასრულონ მთავრობის წარმომადგენელთა ყველა კანონიერი მოთხოვნები. სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევნი დაისჯებიან დანაშაულის მიხედვით, სამხედრო დროის კანონების თანახმად, სიკვდილის დასჯით, ციხეში დაპატიმრებით ან ჯარიმის გადახდით.

**ქართველ სომეხთა დამოკიდებულება.** პროფესიონალური კავშირის საბჭოს სეკრეტარიატმა განიხილა რა ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება, გულისწყრომას გამოსთქვამს ეროვნებათა შორის ასეთ ხელოვნურათ შექმნილ განხეთქილების გამო. როცა მოახლოვებულია საერთაშორისო ზავი და დემოკრატიის ზეიმი, სომეხსა და ქართველ შოვინისტებს სურთ სისხლში ჩაახრჩონ რევოლიუციის მონაპოვარნი და ააგონ თავისი საკურთხეველი. გამოსთქვამს რა პროტესტს, პროფესიონალური კავშირის საბჭოთა სეკრეტარიატი მიმართავს ყველა ერის მუშათა კლასსა და დემოკრატიას და მოუწოდებს საერთო რევოლიუციის ინტერესებისათვის ჩააქრონ თავიანთ ერის შოვინისტთა პროვოკაციული გამოსვლები. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ გაზეთ „ჰორიზონის“ გამოძახილს და საქართველოსა და სომხის დემოკრატიისა და მუშების ინტერესებისათვის მოგიწოდებთ ასეთ შოვინისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც სჩვევია ბურჟუაზიულ პარტიას“.

— დღეს, 12 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საბჭოს ბინაზე (ყოფილი სასტუმრო ბო-მონდი) შესდგება სასწრაფო შეერთებული სხდომა პროფესიონალურ კავშირების საბჭოს და კავშირთა გამგეობისა—ქართველ სომეხთა დამოკიდებულების საკითხის გასარჩევად. ყველას დასწრება სავალდებულოა.

**სოჩიდან სახალხო გვარდიის** მთავარ შტაბს ცნობა მოუვიდა, რომ ტუაპსეში შეიპყრეს ვალ. ჯუღელი და იუნკერი პოპოვიო. საქმე ასე ყოფილა: ვალ. ჯუღელი სოჩიდან გემით წამოსულა ფოთისკენ. ზღვის ღელვის გამო გემის კაპიტანს გემი ტუაპსისკენ წაუყვანია. როცა ეს ჯუღელს შეუნიშნავს, უფიქრნია დატუსაღებას მიპირებენო და კაპიტანს დამუქრებია. შემდეგ თუმცა ჯუღელი დარწმუნებულა, რომ კაპიტანს გემი ამ განზრახვით არ მიჰყავდა ტუაპსეში, მაგრამ ტუაპსეში მთავრობისათვის განუცხადებიათ ჯუღელს კაპიტანის მოკვლა უნდოდაო. ტუაპსის მთავრობას ამის შესახებ გაუმართია მოლაპარაკება გენ. კონიევთან და შეჰპირებია, რომ პირველსავე გემით ვალ. ჯუღელს გამოუშვებს.

**წერა-კითხვის საზოგადოებაში.** დღეს, 12 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ქ. შ. წ. კ. გ. ს. კანცელარიაში (სასახლის ქ. № 5) დანიშნულია ქ.შ.წ.კ.გ.ს. ახლად არჩეული მთავარი გამგეობის წევრთა პირველი მორიგი სხდომა.

**ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.** 10 ნოემბერს ნ. ჟორდანიამ გახსნა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. დაესწრნენ აზერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯაფაროვი და ვექილოვი, მთიულთა მთავრობის წარმომადგენელი: მთიულთა მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი კოცევი და მთიელთა ფინანსთა მინისტრი ჯაბაღიევი. ნ. ჟორდანიამ კონფერენციას განუცხადა, რომ ჯამალიანმა აცნობა მას, რადგანაც ერევანთან ტელეგრაფი წესიერათ არ მუშაობს, სომხეთის მთავრობისაგან ჯერ პასუხი არ მიუღია. კონფერენციამ აირჩია სამანდატო კომისია. სხდომა გადაიდო 14 ნოემბრისთვის.

**ბრძანება.** თფილისის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა: ვინაიდან ბოროტ გამზრახველები ხშირად შედიან სახლებში და მილიციის სახელით სახლებს ჩხრეკენ, ამიტომ დღეის შემდეგ ჩხრეკის უფლება ეძლევათ იმათ, ვისაც გენერალ-გუბერნატორის ან მილიციის უფროსის ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული ორდერი ექნებათ.

**ქართულ სატეხნიკო საზოგადოებამ** გადასწყვიტა სასწრაფოდ შეადგინოს და გამოუშვას „დებულებანი სანიმუშო ანგარიშისა“ (ტიროვოე პოლოჟენიე). საჭირო მუშაობას უკვე შეუდგნენ.

**ლექცია.** დღეს, საღამოს ექვს საათზე, ცენტრალურ უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია: 1) ექ. მი ტურიაშვილის ლექცია „გრიპზე“ და 2) ქრ. რაჭველიშვილის—„საქართველოს მე-19 პოლიტიკურ მოძრაობის ისტორია“.

**რაჭული საღამო.** დღეს ქართულ კლუბში რაჭული საღამოა, ბილეთები კასაში იყიდება. საღამოს მთავარი გამგე ევგენი დვალი.

### პროვინციის ქრონიკა.

**წითელმთა (გურია).** წითელმთის სამკითხველოს შესწირეს: მელიტონ ვანიძემ—50 მან. და მანვე მოკრებილი თავის ნაცნობებში 118 მან., იასონ გეგიაძემ 100 მან., ძმ. ჩიტაიშვილებმა 50 მან. გარდა ამისა ცის ხსოვნის აღსანიშნავათ, გ. მდივანმა—15 მან. იმავე ჩიტაიშვილებმა ხიდის ფონდისთვის 50 მ.

**გარეთ-კახეთის** (სართიჭალის ნაწილი) სოფლებს ნორიოს, მარტყოფს, ახალსოფელს, ხაშმსა და სხ. რაღაც გამოურკვეველი ავადმყოფობა მძვინვარებს, მაგ. სოფ. ნორიოში ერთს დღეს 15-დე მიცვალებული დაკრძალეს, ერთს ოჯახს—ლ. ნიკოლაიშვილს—ორი მოსწრებული ვაჟიშვილი გარდაეცვალა. არავ ექიმი, არ არის დარიგება. მცხოვრებლებს შიშის ზარი აქვს დაცემული. ამას მოჰყვა უზომო ხარჯები ქელეხებში რაიც ნივთიერად აქვეითებს ხალხს. იგივე მოქალაქენი კი სასქმებელი ზეთისათვის ორ-სამ შაურს არ გაიმეტებენ მაშინ, როდესაც ქელეხებში ას-ორას თუმნობით ხარჯვენ. საჭიროა მთავრობის ყურადღება—მიშველება ექიმებით ანუ დარიგებით.

# სამხედრო წესები რკინის გზაზე

საქართველოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზების და მის გარშემო მდებარე ადგილების (გარდა სამხრეთ ნაწილისა სადგ. ნავთლუღის გამოკლებით), ფოთის ნავთსადგურის და მისი რაიონის გენერალ-გუბერნატორისაგან:

ვაცხადებ საყოველთაოდ, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზებზე და ფოთის ნავთსადგურზე გამოცხადებულია სამხედრო წესი, პირნი, რომელნიც ჩაიდენენ რაიმე დანაშაულებას ამ ტერიტორიის რაიონში, (ჩამოთვლილი მე-17 მუხლში, დამატება მე 23 მუხლისა, გუბერნიის დებულებისა), მიცემულნი იქნებიან კანონის ძალით სამხედრო სამართალში და დასჯილნი სამხედრო კანონების მიხედვით.

გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი: ყარალაშვილი.

ამონაწერი მე 17 მუხლიდან მე 23 მუხლის დამატებისა საერთო საგუბერნიო დებულებისა: იმ ადგილებში, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები, სამოქალაქო უწყების პირნი, რომელნიც არ არიან ჩარიცხულნი ჯარში ან მიწერილნი მასზე, მიიცემიან სამხედრო დროის კანონათ შემდეგ დანაშაულის ჩადენისთვის:

1) ამბოხება უზენაესი მართველობის წინააღმდეგ და სახელმწიფო ღალატისათვის;

2) განზრახ დაწვა ან სხვა განზრახვით განადგურება, ან ხმარებისათვის გამოუსადეგრათ ქცევა სამხედრო შეიარაღებისა და მოწყობილობისა და საერთოდ ყველა იმისა, რასაც კავშირი აქვს თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებებთან და აგრეთვე სათადარიგოთ შენახულ სურსათისა და საქონლის საკვებთან.

3) განზრახ განადგურება ან საგრძნობლად დაზიანება საომარ მოქმედების რაიონში წყალსადენებისა, ხიდებისა, ბოგირების, სადგურებისა, წყალჩამოსაშვების, ჭების, გზების, ფონების ან სხვა დასხვა საშუალებების, რომლებიც ხელს უწყობენ მიმოსვლის, გაღმა გასვლას, ნაოსნობას, წყალდიდობის ასაცდენ ზომების მიღებას, ან საჭირონი არიან წყლის მიწოდებისათვის;

4) განზრახ განადგურება ან საგრძნობლად დაზიანება იმ საგნებისა, რომლებიც საჭირონი არიან მთავრობისათვის სახმარებლად, სახელდობრ: ა) ტელეგრაფისა, ტელეფონისა ან სხვა საგნებისა, რომელნიც მოწყობილნი არიან ცნობების გადასაცემად და ბ) რკინის გზის ლიანდაგის მოძრავ შემადგენლობისა ან სხვა ნიშნებისა, რომელნიც საჭირონი არიან სარკინისგზო მიმოსვლისა და ნაოსნობის უზრუნველსაყოფად და

5) თავდასხმა დარაჯზე ან სამხედრო მცველზე, სამხედრო მცველისა ან სამხედრო და სამოქალაქო მილიციის მოხელეთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა და აგრეთვე მოკვლა დარაჯისა, სამხედრო მილიციისა და მცველებისა;

თფილისი 6 ნოემბერი, 1918 წელი.

---

### სავალდებულო დადგენილება.

§ 1.

1) მთავრობის განსაკუთრებულ ნებადაურთველად აკრძალულია ყველა პირთათვის შენახვა და გადატან გადმოტანა ყოველგვარ იარაღისა, საომარ მასალისა და ასაფეთქებელ ნივთიერებისა რკინის გზის მიდამოებში.

2) აკრძალულია ყოველგვარ იარაღის ტარება ყველასათვის, გარდა იმ პირებისა, რომელნიც მას ატარებენ სამსახურის გამო და აგრეთვე იმ პირებისა, რომელთაც აქვთ ამის სათანადო ნებართვა.

3) აკრძალულია ტარება ყოველგვარ უჩინარ იარაღისა, როგორც ჯოხებში ჩართულისა, ისე კასტეტებისა და სხვათა.

4) აკრძალულია რკინის გზის მიდამოებში მანიფესტაციები, სადემონსტრაციო პროცესიები და საჯაროდ სიტყვების წარმოთქმა. შეკრებილნი მოვალენი არიან დაიშალონ რკინის გზის მილიციის, სამხედრო ყარაულისა და აგრეთვე სამსახურის მოვალეობის ამსრულებელ რკინის გზის აგენტის პირველ მოთხოვნისთანავე.

5) ყრილობები და კრებები შეიძლება გაიმართოს მხოლოდ ჩემის ნებართვით, რისთვისაც საჭიროა გზის ან ფოთის ნავთსადგურის უფროსების შუამდგომლობა.

6) მატარებლებში მყოფთ ეკრძალებათ დადგომა კიბეებზე, ბუფერებზე, ბანზე, ვაგონის ფორმოზზე და საზოგადოდ ვაგონების გარეთა ადგილებზე. აგრეთვე აკრძალულია შეხტომ-გადმოხტომა მატარებლიდან უკანასკნელის გაჩერებისა და დადგომამდის.

7) აკრძალულია მგზავრობა ორთქლმავალებზე და ტენდერებზე იმ პირთათვის, რომელთაც ამის ნებართვა არ ექნებათ რკინის გზის ადმინისტრაციისაგან.

8) აკრძალულია რაიმე ბარგის გადაზიდვა ორთქმავალზე და ტენდერზე.

9) აკრძალულია გამოქვეყნება ან საზოგადოებაში გავრცელება:

ა) იმნაირ ცრუ ხმებისა მთავრობის მოქმედების და განკარგულების, ან ადმინისტრატიულ პირების, ჯარის, სახალხო გვარდიის ან მისი ნაწილის შესახებ, რომელთაც შეუძლიანთ გამოიწვიონ მცხოვრებლებში მათდამი მტრული განწყობილობა;

ბ) ისეთი ცრუ ხმებისა, რომლებიც გამოიწვევენ საზოგადო შიშიანობას მთავრობის განკარგულებათა გამო, აგრეთვე გავრცელება ყალბი ცნობებისა საერთო უბედურებისა და სხვა რამ მოვლენათა შესახებ.

10) აკრძალულია დამზადება, ან შეკეთება რკინის გზის სახელოსნოებში ყოველგვარ იარაღისა და აგრეთვე იარაღის დაყიდვა რკინის გზის მიდამოებში და რკინის გზის კიოსკებშიაც.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება იმ სახელოსნოებზე, რომლებშიც მზადდება იარაღი რკინის გზის მილიციისათვის.

11) აკრძალულია გაკვრა ყოველგვარ განცხადებებისა, მოწოდებებისა და სხ. რკინის გზის მიდამოებში, გამონაკლისს შეადგენენ მგზავრთათვის აგებული შენობები, სადაც განცხადებების გაკვრა საერთო კანონის მიხედვით ნება დართულია სათანადო მთავრობისაგან.

12) აკრძალულია რკინის გზის სახაზინო სადგომებში, მილიციის დაუკითხავად და მის ნებადაურთველად, ღამის გასათევად მიღება, ან ერთ დღე-ღამეზე მეტხანს დატოვება საცხოვრებლად ნათესავებისა, ნაცნობებისა და საზოგადოთ გარეშე პირთა.

13) აკრძალულია სხვა პირთათვის გადაცემა იმ ნებართვის, მოწმობების და სხვა ამგვარ საბუთებისა, რომელთაც სარკინისგზო ადმინისტრაცია აძლევს თავის მოსამსახურეებს სახელოსნოებში, დეპოებში, კანტორებში, საწყობებში ან სხვაგან სადმე შესასვლელად.

14 აკრძალულია იმ პირთათვის, რომელთაც ამის ნებართვა არ ექნებათ, მოაჯირის ახსნა-დახურვა, ისრის გადაწევ-გადმოწევა, ნიშნების მიცემა და მოძრავ შემადგენლობის გადაწევა ერთი მხრიდან მეორე მხარეზე.

15 აკრძალულია საქონლის დატოვება ან მისი გადაყვანა რკინის გზის ლიანდაგზე გარდა ამისთვის განსაკუთრებით ნაჩვენებ ადგილებისა.

16 აკრძალულია რკინის გზის მიდამოებში მაგარ სასმელებით ვაჭრობა და მათი სმა.

17) აკრძალულია ნებადაურთველათ რკინის გზის მიდამოებში ადგილების ფოტოგრაფიულათ ან სხვა რაიმე საშუალებით გადაღება.

18) აკრძალული აქვთ რკინის გზის ყველა მოსამსახურეებს რაიმე საუბარი იქონიონ გარეშე პირებთან ჯარების გადაყვანისა და ამის გამო იმ განკარგულებების შესახებ, რომელიც გაცემულია საგზაო ადმინისტრაციისა ან სამხედრო უწყების მიერ.

§ 2.

1) აკრძალული აქვთ ყველა პირთ, რკინის გზის მოსამსახურეთა გარდა:

ა) რკინის გზის ლიანდაგზე სიარული, გარდა იმ ადგილებისა, რომელიც მიჩნეულია ასეთად.

ბ) ყოფნა მოსამსახურეთა შენობებში, სახელოსნოებში, დეპოებში, კანდუქტორთა და ორთქმავალთა ბრიგადის სასვენ ოთახებში და საზოგადოთ იმ შენობებში, რომლებსაც წარწერა აქვთ, რომ იქ შესვლა აკრძალულია გარეშე პირთათვის.

გ) გადარჩენა რკინის გზის მიდამოებში, გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც მიჩნეულია მგზავრთათვის (სადგური, საბარგო კანტორა, სამგზავრო და საბარგო ბაქანები) ამისთვის დანიშნულ დროს.

დ) ცხოვრება რკინის გზის შენობებში სარკინისგზო ადმინისტრაციის ნებადაურთველად.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დატუსაღებულ იქნებიან 3 თვემდე, ან გადაიხდიან ჯარიმას 3.000 მანეთამდე.

ამ გვარათვე დაისჯებიან:

ა) დამნაშავენი, რომელნიც არ შეასრულებენ სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს რკინის გზის აგენტის კანონიერ მოთხოვნას, გარდა ისეთ შემთხვევისა, როცა ამ მოთხოვნის შესრულებას შედეგად მოჰყვება ვისიმე სიკვდილი, ან ჯანმრთელობის გატეხა;

ბ) დამნაშავენი რკინის გზის გადაუვლელ ბაში ანუ რკინის გზის შეკვრაში აშკარა გაუფრთხილებლობით;

გ) დამნაშავენი [illegible] ტაციის კანონების დარღვევაში სადგომებიდან მატარებლების [illegible] უხანებლად გაშვების შესახებ ლიანდაგზე;

დ) დამნაშავენი ამავე წესების დარღვევაში დამორჩილების შესახებ მატარებელ და ორთქლ-მავალ ბრიგადის მოსამსახურეთა მხრივ სადგურის უფროსების განკარგულებისა, მატარებლების მიმოსვლის დროს სადგურებზე და სადგომებზე;

ე) რკინის გზის მცველნი, რომელნიც, დაუდევრობისა გამო ვერ შეამჩნევენ ლიანდაგის გაფუჭებას ან თავისუფალ მოძრაობის შემაფერხებელ სხვა დაბრკოლებას;

ვ) უბილეთო მგზავრნი;

ზ) ის მგზავრნი, რომელნიც ან ფანჯრებიდან, ან კარებიდან გამოიყურებიან მატარებლის ხიდზე გავლის დროს;

ჰ) ის პირნი, რომელნიც არ შეასრულებენ უფროსთა კანონიერ მოთხოვნას, ან სხვა პირთ შეუშლიან ამნაირ მოთხოვნის შესრულებას;

ჰ) ის პირნი, რომელნიც გადასცემენ შიფრიან კერძო პირთა დეპეშას;

ი) ის პირნი, რომელნიც რკინის გზის მიდამოებში გამართავენ ან ბანქოს, ან აზარტში მოუყვანს სხვა თამაშს.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

გენერალ-გუბერნატორი
გენ.-მაიორი ყარალაშვილი

# ლტოლვილთა გარშემო

რუსულ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქციისაგან შემდეგი წერილი მივიღეთ.

„პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო! გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქცია თავის ვალათ რაცხს საყოველთაოდ აუწყოს, რომ დაბეჭდა რა მან ცნობა საქართველოს მთავრობის მიერ ლტოლვილთა ახალ-ქალაქის მაზრაში არ დაშვების შესახებ, ის შეცდომაში იქნა შეყვანილი ადგილობრივ პრესაში ამ საგანზე მოთავსებული ცნობით.

პარლამენტში მთავრობის განმარტების და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის დეპეშის გამოქვეყნების შემდეგ, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს არის ბოროტი ცილის წამება „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის მიერ, იმ მიზნით გავრცელებული, რომ ხელი შეუწყოს ერთა შორის შუღლის ჩამოგდებას. რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, ვინაიდან გაზეთი ორშაბათობით გამოდის, საშუალებას მოკლებულია თავის დროზე გაასწოროს დაშვებული შეცდომა.

„გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ რედაქცია.

---

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

# საექიმო-სასანიტარო საქმე

**ინფლუენციის საწინააღმდეგო ზომები. „ისპანკა“.**

როგორც ევროპაში, ისე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მოდებულია სენი, რომელმაც თავისი სწრაფი გავრცელებით ყველას თავზარი დასცა.

ეს ცნობილი სენი-ინფლუენცია, მონათლულია სახელით „ისპანკა“. თფილისში არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილებას არ შეეძლო არ მიექცია ჯეროვანი ყურადღება ამ მოვლენისთვის და ამიტომ 2 ნოემბ. მოიწვია თფილისის ექიმების თათბირი ეპიდემიის ხასიათის და იმასთან საბრძოლველ ზომების შესამუშავებლად.

ექიმთა თათბირი იმ დასკვნას დაადგა, რომ ჩვენ არა გვაქვს საქმე რამე ახალ სენთან, არამედ გავრცელებული ავათმყოფობა არის ცნობილი ინფლუენციათ, მხოლოდ მას მიღებული აქვს ეპიდემიური ხასიათი.

ექიმთა უმრავლესობა ამოწმებს, რომ ავათმყოფობა იწყება თავის ტკივილით, დიდის სიცხით, სურდო ხველით და ხშირად ავათმყოფი ბევრს ნახველს იღებს. უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი ჰგრძნობს ტკივილს წელის ქვეითა ნაწილში, ბეჭებში და სხ. ადგილებში.

როდესაც სენი გადადის ფილტვებზე, მაშინ ავადმყოფს უჩნდება ფილტვების ანთება, ეს არის ავადმყოფობის მძიმე და საშიში გართულება. ანთება შეიძლება გადავიდეს აგრეთვე ყურზე. ამ დროს ავადმყოფი ჰგრძნობს ყურში ტკივილს, ტეხვას და სმენა შესამჩნევად ეხშობა, თითქოს ყურთ დააკლდაო. უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მოვლენა, რომელსაც ამოწმებენ ბევრი ექიმები: ბევრს ავადმყოფს ცხვირიდან სისხლი სდის და ხანდახან ნახველთან სისხლიც ამოსდის.

ინფლუენცია არის ძველი გადამდები სენი, ამიტომ ხშირად ხდება, რომ ერთი ავადმყოფისაგან სენი მთელს ოჯახს ედება.

ინფლუენცია ხშირად ნახველით და ნერწყვით გადადის სხვაზე. როგორც ავი-

ცილოთ თავიდან ინფლუენციით ავათ გახდომა?

1. უნდა ვერიდოთ იმ ოჯახებში სიარულს, სადაც ინფლუენციით ავადმყოფი იმყოფება.

2. როდესაც ავადმყოფთან გვიხდება ყოფნა, მისი სენი ჩვენც გადმოგვედება, თუ თვითონ ავადმყოფს ან მის ტანისამოსს შევეხეთ და მაშინათვე არ გავიწმინდეთ ხელები ისეთი სითხით, რომელიც სპობს ინფლუენციის ბაქტერიას, ან არ დავიბანეთ ხელები საპნით.

3. თუ ავათმყოფს უვლით, შეიძლება მისგან ჩვენც გადმოგვედოს ინფლუენცია ან მაშინ, როდესაც იგი გველაპარაკება, [illegible]

[illegible]

6. საჭიროა ავათმყოფის მორჩენის შემდეგ იმ ოთახში, სადაც იწვა ავათმყოფი, ჰაერი გახუფთავდეს. იატაკი გაირეცხოს სოდის წყლით ან რაიმე სხვა დეზინფექციური სითხით.

7. საჭიროა თავი შევიკავოთ და თეატრებსა და კინემატოგრაფებში არ ვიაროთ, ვინაიდან ამ ადგილებში ზევრი ხალხი გროვდება და რასაკვირველია მათში ინფლუენციით ავათმყოფებიც იქნებიან.

8. ვიგრძნობთ თუ არა ინფლუენციას, საჭიროა მაშინათვე ლოგინში დავწვეთ, რომ თავიდან ავიშოროთ სენის გართულება.

9. მორჩენის შემდეგ, როდესაც სიცხე დაიწევს, 3—4 დღეზე ადრე გარეთ გამოსვლა არ შეიძლება.

# ს.-დემ. პარტიაში

## სენაკის მაზრის სოც. დემ. ორგ. წარმ. ყრილობა.

29 ოქტ. დ. აბაშაში ადგილობრივ სოც.-დემ. კლუბში შესდგა სენაკის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) მოხსენება სამ. ს.-დ. კომიტეტის, 3) ფინანსიური ანგარიში და მისი განხილვა,—მოხს. სარევ. კომისიისა, 4) მოხსენება ადმინ. წარმომადგენლის, 5) მოხსენება საადგ.-მამ. კომიტეტის, 6) მოხსენება საერობო ფრაქციის, 7) საოლქო კონფერენციის კითხვები: ა) დამფ. კრება, ბ) აგრარული საკითხი, გ) ინტერნაციონალი. 8) პარტიული მუშაობა, 9) თვითმართველობაში მუშაობა, 10) გვარდიის შესახებ, 11) საოლქო კონფერ. დელეგატების არჩევა, 12) სამაზრო სოც.-დემ. კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობას დაესწრენ მაზრის ორგანიზაციების წარმომადგენლები. ადგილებიდან მოხსენებები გააკეთეს: დ. აბაშის, კვათანის, ონტოფოს, სეფიეთის, სოფ. აბაშის, სამიქაოს, გეზათის, მაიდნის, მარნის, სუჯუნის, ქალ. სენაკის, ნაესაკოვოს, თეკლათის, ნოსირის, ჯოლევის, აბედათის, ბანძის, ლეხაინდრაოს, ლეძაძამეს, კიწიის და სალხინოს ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. როგორც მომხსენებლებმა აღნიშნეს, ბოლშევიკურ ანარქიამდე ყველგან ძლიერი ყოფილა ს.-დ. ორგანიზაციები, წევრებიც მრავლად ყოფილან ჩაწერილნი, მაგრამ ბოლშევიკების პროვოკაციას და ტერორს ყველგან შეუსუსტებია მათი მუშაობა. ასეთ მოვლენას განსაკუთრებით მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში ჰქონია ადგილი. აქ საზოგადოების შეერთებული ორგანიზაციები დაშლილა და ჩვენ ამხანაგებს იაჩეიკურ მუშაობისთვის მიუყვიათ ხელი. ანარქიის დროს ზოგან ფარულ მუშაობასაც ჰქონია ადგილი.

ასეთი ღრმა კვალი მუშაობისთვის ვერ დაუჩენია ანარქიას აბაშის რაიონში და ქ. სენაკის ახლო მდებარე საზოგადოებებზე. აქ შედარებით მისუსტებულია ორგანიზაციული მუშაობა, მაგრამ იაჩეიკებათ დანგრევას ადგილი არ ჰქონია. ორგ. ყველა წარმომადგენლები აღნიშნავენ უპროპაგანდისტობას. ზოგან სამ თვეზე მეტი ყოფილა, რომ ცენტრიდან არვინ მოსულა. ადგ. ამხანაგები უმთავრესად ამით ხსნიან ორგანიზაციულ მუშაობის მისუსტებას. განსაკუთრებით გაცხოველებული მუშაობა ყოფილა მარნის (საჭილაოს) საზოგადოებაში. ყველა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ხალხის უმრავლესობა ჩვენსკენ არის. სამუშაო ნიადაგი ყველგან ჩინებულია, მხოლოდ მომუშავე აპარატი უნდა გავაუმჯობესოთო, ამბობენ წარმომადგენლები.

სამაზრო კომიტეტის მოქმედებაზე მოხსენებას აკეთებს კომიტ. თავმჯდომარე ანდრო ანჯაფარიძე. ის დაწვრილებით აღწერს კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ამბობს: ჩვენ არაჩვეულებრივ პირობებში მოგვიხდა მუშაობა, რაც დიდ დაღს ასვამდა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცვლილებები. წმინდა პარტიულ მუშაობასთან ერთად, ჩვენ ხშირად იძულებული ვიყავით ჩავრეულიყავით ადმინისტრატიულ აღმშენებლობის საქმეში. განსაკუთრებით მძიმე იყო ჩვენთვის ხანა ანარქიის, რომლის სიმძიმეც ჩვენ გადავიტანეთ. ანარქიის წინააღმდეგ ამუშავებული იყო იარაღი. ამავე [illegible]

[illegible] თაც შევადგინეთ რაზმები და პროპაგანდა-აგიტაციით ვცდილობდით შთაგრობის განმტკიცება-გამაგრებას. არც აქ დავმარცხებულვართ ჩვენ.

ანარქიის ჩაქრობის და გარეშე საფრთხის აშორების შემდეგ ჩვენ ისევ მოგვეცა საშუალება წმინდა პარტიულ მუშაობის. ამისთვის საჭირო იყო თანხა, რაც ჩვენ სრულებით არ გაგვაჩნდა. მივმართეთ დახმარებისათვის საოლქო კომიტეტს, რომელმაც გაგვიწია საგრძნობი დახმარება და ისევ შევძელით პროპაგანდისტთა კოლეგიის შედგენა. აქამდის პროპაგანდისტები სრულებით უსასყიდლოთ მუშაობდნენ. მათ დავპირდით დახმარებას, მაგრამ ვერაფერი მივეცით. ახლად დანიშნულმა პროპაგანდისტებმა მცირე ხნის მუშაობის შემდეგ ისევ აღადგინეს ორგანიზაციები, განსაკუთრებით აბაშის რაიონში. ეს მუშაობა ახლაც გრძელდება. სადაც მივწვდებოდით, იქ მივდიოდით, ვავრცელებდით მოწოდებებს და სხვ. აი მოკლეთ ის, რის გაკეთებაც შესძლო უსახსრო კომიტეტმაო,—ამბობს მომხსენებელი. მოხსენებას ხანგრძლივი კამათი არ გამოუწვევია.

ყველა გრძნობდა, რომ უსახსრო კომიტეტს მართლაც არ შეეძლო უფრო ნაყოფიერად მუშაობა.

ფინანსიურ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომიტეტის ხაზინადარმა ამხ. დავით ქობალავამ. როგორც მისი მოხსენებიდან სჩანს, ფინანსიური მდგომარეობა კომიტეტისა, უმწეო ყოფილა. ზოგ კუთხეებიდან პარტიული გადასახადები დღემდისაც არ შემოსულა. სისტემატიურად გადასახადები მხოლოდ აბაშის რაიონიდან შემოდიოდაო.

შემოსავალი კომიტეტს ჰქონია: 1) პროცენტები ამხ. ჯამაგირებიდან 1773 მ. 55 კ.; 2) შემოწირულება 1106 მან.; 3) წარმოდგენებიდან 6047 მან.; 4) სესხი 2070 მ.; 5) 1917 წ. დარჩენილი 20 მ. 99 კ. სულ 11,017 მ. 65 კ.

გასავალი: საკანცელარიო 276 მ. 80 კ; 2) პროცენტები საოლქო კომიტეტს 500 მ; 3) სამგზ. საოლქო კონფ. დელ. 420 მ.; 4) პროპაგ.-აგიტ., ფურცლები და სხ. 2,211 მ. 15 კ.; 5) ერობის საარჩევნო კომპ. 2148 მ.; 6) დახმარება ამხანაგობას 450 მ.; 7) დეპეშები 20 მან.; 8) ვალებს 1750 მ. სულ 7,775 მ. 70 კ. კასაში დარჩენილა 3,241 მ. 70 კ.

29 ოქტ. ფოთის ნავთსადგურის მუშებისაგან ვასო ნოდიას ხელით შემოსულა კომიტეტში დახმარების სახით 5,000 მ. ამრიგათ კასაში სულ ყოფილა 8,241 მ. 70 კ.

ანგარიშის დამტკიცებამდის კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის წერილობითი მოხსენება. სარევიზიო კომისიის წევრებია: გიორგი მაღნარაძე, პარასკევა კუხალეიშვილი და შ. ცეკვაშვილი. არც ერთი ამათგანი ყრილობას არ დასწრებია. მდივანი კითხულობს მათ წერილობით მოხსენებას. მოხსენება მეტად მკაცრი კილოთი იყო დაწერილი, ჯვარს ასვამდა კომიტეტის მუშაობას და მოითხოვდა მთელი შემადგენლობის (ა. ანჯაფარიძე, ლ. დავითაია, ა. ფიჩხაია, დ. ქობალავა და გრ. კანკავა) გადაყენებას. დაუსაბუთებელმა მოხსენებამ საერთო უკმაყოფილება გამოიწვია კრების მხრივ. გადასწყდა მუხლობრივ განიხილონ მოხსენება. ყრილობაზევე განხილულ იქნა შემოსავალ-გასავლის დავთრები, შემოწმებულ იქმნა ორდერები, გადასინჯულ იქნა ოქმები, რასაც იწუნებდა სარევიზიო კომისია. გამოირკვა, რომ საქმეების წარმოებაში მტკიცე სისტემა არ ყოფილა დაცული, მაგრამ ეს ყრილობამ ისეთ ცოდვათ არ ჩაუთვალა კომიტეტს, რომ მთელ მის მოქმედებაზე ჯვარი დაესვა. ეს ახსნა იმით, რომ კომიტეტს უსახსრობის გამო არ ყავდა დაქირავებული მდივანი, ხაზინადარიც სამსახურის საქმეებით იყო გართული, წევრები სხვადასხვა მოვალეობებს ასრულებდნენ და ასეთ პირობებში საქმის სისტემატიური წარმოება შეუძლებელი იყო. ყრილობამ სარევიზიო კომისიის ყველა მუხლები გააბათილა შესაფერ რეზოლიუციებით, ხოლო მთელ მოხსენებაზე გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: კომიტეტის ანგარიშების თუ საქმეების წარმოებაში არ არის დაცული ფორმალური მხარეები, მაგრამ ამას აქვს გასამართლებელი საბუთები. სარევიზიო კომისიის დასკვნებს ყრილობა ოქმში მოყვანილ საბუთების მიხედვით სთვლის ულოლიკოთ და ნდობას უცხადებს კომიტეტს წარსულ მოქმედებაში. ამის შემდეგ ყრილობა ამტკიცებს კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს.

დამფ. კრების კითხვები იწვევენ ხანგრძლივ კამათს. ზოგიერთების აზრით ჯერ ჯეროვნათ არაა ნიადაგი მომზადებული დამფ. კრების დაჩქარებით მოწვევისთვის და უმჯობესი იქნება ეს რამოდენიმე თვით გადავდვათ. მთელი რიგი ორატორებისა არ იზიარებენ ამას. მათი აზრით, ხალხი უკვე მომწიფებულია დამფ. კრებისათვის, საერთაშორისო ჩვენი მდგომარეობაც მოითხოვს მის დაჩქარებით მოწვევას.

კრებამ უკანასკნელთა მოსაზრება მიიღო.

საოლქო კონფერენციის დასასწრებლათ აირჩიეს 5 დელეგატი: ა. ანჯაფარიძე, ლ. დავითაია, გ. მაღრაძე, შ. ცეკვაშვილი და იოსებ სალაყაია.

დამფ. კრების კანდიდატებათ დასახელებულ იქნენ 11 კაცი. ხანგრძლივ კამათს იწვევს აგრეთვე მიწის საკითხი. უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მიწები გადაეცეს მიწის მუშებს საკუთრებათ, რეფორმის გასატარებლათ გაწვეულ ხარჯების გაღებით. სახალხო გვარდიის შესახებ მოხსენებას აკეთებს ვასო ნოდია. ის ამბობს: პირველ ხანებში ჩვენში შედგა წმინდა მუშური გვარდია. გვარდიელი მუშები მუშაობასაც ეწეოდნენ და საჭიროების დროს იარაღს იღებდნენ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ბოლოს დროს ეს მუშები მოწყვეტილი არიან სამუშაოს და მუდმივ ჯარის როლს ასრულებენ, რაიც უკარგავს მას გვარდიის სახეს და ჯარს ამზგავსებს. საჭიროა გვარდიას აუცილებლათ პირვანდელი სახე მიეცესო.

ლ. დავითაიას საჭიროდ მიაჩნია ყველა ჯანსაღი ამხანაგები ჩაეწერონ გვარდიაში და საერთო საფრთხის დროს ფეხზე დადგენ ხოლმე. ყრილობა იზიარებს მომხსენებელთა დებულებებს.

ინტერნაციონალის შესახებ ყრილობა ადგენს: ჩვენს პარტიას დაერქვას საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტია და ინტერნაციონალში შევიდეს, როგორც სრულუფლებიანი წევრი.

მოხსენებები ადმ. წარმომადგენლის, საად. მამულო კომიტეტის და სხ. გადაიდო შემდეგ ყრილობისათვის.

ყრილობა ირჩევს სამაზრო კომიტეტს, რომელშიაც შედიან: აკ. ფიჩხაია, ა. ანჯაფარიძე, ლ. დავითაია, ბ. ძველაია, დ. ქობალავა, გრ. კანკავა და არ. ფანცულაია; კანდიდატებათ: ა. მახარაძე და ა. თულაძე. სარევიზიო კომისიაში: ვ. ჩიქოვანი, ვ. ნოდია და ევ. ძიძიგური, კანდიდ. ალ. გაბუნია.

ყრილობაზე არ აღნიშნულა ის გულგრილობა, როგორითაც კომიტეტი ეკიდებოდა მის მიერ დანიშნულ პროფესიონალურ პროპაგანდისტებს. ასეთები იყვნენ ბარ. ძველაია, ი. გეგენავა, გ. ჩიქოვანი და არტ. ფანცულაია. კომიტეტის დადგენილებით ესენი გასულ თებერვლიდან ჩამოშორებულ იქნენ ყველა საქმეს და მარტო პარტიულ მუშაობას აწარმოებდნენ. სამწუხაროთ, მათ დღემდის თითქმის არაფერი მიუღიათ.

ამ ჟამად კომიტეტს 8241 მან. ნაღდი ფული აქვს. ამხანაგების ნივთიერად დასაწყლება მაშინ, როცა ამის აშორება შესაძლოა, არ მიეტევება პარტიულ კომიტეტს. ეს კი მან ჩაიდინა, როცა კომიტეტის ანგარიშში მათი ჯამაგირი არ შეიტანა და ისე დაამტკიცებინა ყრილობას. თუ ასეთი შეცდომები კვლავ გაიმეორა კომიტეტმა, მაშინ, აშკარაა, პარტიული მუშაობა არ იქნება სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ყრილობამ აუცილებელ საჭიროებათ აღიარა კომიტეტის მუდმივ დაქირავებულ მდივნის ყოლა და ჯამაგირათ დაუნიშნა წლიურად 9,600 მ. მუდმივ მდივნათ არჩეულ იქნა არ. ფანცულაია.

ა. ფანცელი.

# პროვინცია

**ს. ჭყვიმ-ხურები** (გურია). არ იქნა და არ ეღირსა ამ სოფელს ერთი წელში გამართვა. ბუნებამ თითქოს მისთვის მოიცალა და მუდამ მის უბედურებაზე ზრუნავს. გასული წლების მოუსავლობის გამო ქანც გამოლეული ამ სოფლის შვილი წელს ფიქრობდა ცოტათი ხელის მოთბობას, რადგან მოსავალს შედარებით კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ბოლოს ეს იმედი, მთლად თუ არა, სამი მესამედით მაინც გაუცრუვდა. ჯერ იყო და აგვისტოს საშინელმა ნიაღვარმა თითქმის სამი მესამედი სუფსაში ჩაიტანა აქაურ კლდე-ფერდობებზე დათესილი ყანები. ხალხი შეშფოთდა. გუშინდელ იმედიან სახეზე ისევ შიში და სევდა დაეტყო. მაგრამ, მოგეხსენებათ, გლეხის მოთმინებას საზღვარი არა აქვს. ეს საშინელი წარღვნისებური, ჯერ კიდევ ძველთაგან უხსოვარი, ნიაღვარი მალე თითქმის გადაავიწყდა, მიუხედავათ იმისა, რომ ერთი აქაური ახირებული მოხუცი მუდამ გაიძახოდა: ეს რა არის, კიდევ უარესს მოელოდეთო... გავიდა ხანი, შემოდგომამ კარგი დარები დაიჭირა; ქარისა და ნიაღვარისაგან მილეწმოლეწილი სიმინდის ყანები ცოტათი ფეხზე წამოდგა და მარცვლებით გაივსო; ბრწყინიალე მზემ მშვენიერ თეთრ აბრეშუმის ფრად დაახმო კარვებში გაკიდული თუთუნები. დამწიფდა, სადაც იყო, ყურძენიც. სოფელს კვლავ იმედი დაესახა და ხალისიანად შეუდგა ტეხაკრეფას... მაგრამ, დახე ამ სოფლის ბედს: ნამდვილი უბედურება თურმე ჯერ კიდევ წინ იდგა. ეს უბედურება იყო ის საშინელი გრიგალი, რომელიც დაეტაკა, განსაკუთრებით, ამ სოფელს ოქტომბრის 21 რიცხვს (ახ. სტილით) ორშაბათ ღამეს. თითქოს გამართლდა მოხუცის სიტყვები: უარესს მოელოდეთო. ეს ღამე ამ სოფელში ნამდვილი ჯოჯოხეთური იყო.—კარგა ხნის დაროების შემდეგ ამ დღეს, ასე დღის ხუთი საათი იქნებოდა, ერთბაშათ შეიქნა საშინელი ჭექა-ქუხილი და მალე დაასხა ძლიერი კოკის პირული წვიმაც. შემდეგ თითქოს გადაიღო, მაგრამ ცა რომ რაღაც საშინელებას გვიმზადებდა, ეს აშკარი იყო. ღამის ცხრა თუ ათი საათი იქნებოდა. დღის შრომისა და წვიმისაგან შეწუხებული ხალხი ძილსა და მოსვენებას ეპირებოდა, რომ უეცრად ამოვარდა ძლიერი ქარი. აბა რა იცოდა საცოდავმა, ღვთის ანაბარათ მიტოვებულმა, გლეხმა თუ რამოდენიმე წუთის შემდეგ სიმინდი და ღომი კი არა, მისი საბრალო ფიცრული ქოხიც და მთელი ეზო-მიდამო სატირალი გაუხდებოდა.

ძლიერი ქარისაგან შეშინებულ ხალხს კიდევ ვერ მოესწრო გონს მოსვლა, რომ არაჩვეულებრივი სიძლიერით და ხმაურობით დაეტაკა მთელ სოფელს, ამ სოფლის ისტორიაში ჯერ კიდევ გაუგონარი, გრიგალი... სულ რამოდენიმე წამს გასტანა მან, მაგრამ საშინელი, ნამდვილი ჯოჯოხეთური იყო ეს წამები. მთელი სოფელი დიდიან-პატარებიანად ზეზე წამოვარდა და ყველანი შიშის ზარმა მოიცვა. კიდევ რამოდენიმე წუთი, კიდევ ერთი შემოკვრა და მგონი ამ სოფლიდან აღარაფერიც დარჩებოდა, ან ყველანი ჭკუიდან შეიშლებოდნენ. მაგრამ, საბედნიეროთ, გრიგალი ერთი მოქნევის შემდეგ საშინელი სტვენითა და კვნესით გალმა მთებს შეაკვდა და ხალხმაც თავისუფლად ამოისუნთქა.

ძნელია უბრალო სიტყვებით მთელი იმ სურათის აღწერა, რომელიც მეორე დღეს ამ სოფელს გადაეშალა თვალწინ: მილეწ-მოლეწილი, ზოგი სახურავ გადაგლეჯილი, ზოგიც სრულიად ნანგრევებათ ქცეული ქარისა თუ წაქცეულ ხეებისაგან საცხოვრებელი სახლები, ძირიანათ ამოგლეჯილი, თუ შუაზე გადამტვრეული ას-წლოვანი მუხები, ვეებერთელა წიფლები, აუარებელი დათხრილდამტვრეული კაკლის ხეები და სხვა ეზოს ხეხილები, დანგრეულ დამტვრეული, თუ სრულიად წაღებული ხარო-ნალიები ტ თუ თუნიანი კარვები, სრულიად გაცლილი ყურძნის ხეები, მინდორ-ველათ გაფანტული სიმინდი და ღომი, დანგრეული და დაშლილი ჩალის ზვინები და სხ. და სხ...

გულ-ხელ დაკრეფილი, თვალებში ცრემლ-მორეული დასცქეროდა საბრალო სოფლის მუშა, ოჯახის მამა ამ გავერანებულ ეზო-მიდამოს და მგონი სიტყვებიც ვეღარ მოუძებნია თავისი უზომო მწუხარების გამოსათქმელად, მხოლოდ ერთი-მეორეს მშვიდობით გადარჩენას ულოცავდნენ მეზობლები.

მართლაც და რა ქნას, ვის შესჩივლოს დღეს საწყალმა გლეხმა მისი გაჭირვება!? მისთვის არავის არა სცალია. დღეს საერთოდ ნგრევისა და ერთმანეთის განადგურების ხანაა. ადამიანთა ეს საზიზღარი თვისება, თითქოს ბუნებასაც გადაედო და ისიც სცდილობს შეუსრულოს საბრალო გლეხს ის, რაც ადამიანებმა დააკლეს.

მაგრამ ყოველ უბედურებას რაიმე დადებითი მხარეც ახლავს. ბუნების ასეთი სიმკაცრე თითქოს განგებ, ჭკუის სასწავლებლად ევლინება აქაურ ხალხს და დაბეჯითებით, განმეორებით ჩასჩიჩინებს მას: ადექი და დროზედ გადასახლდი აქედან, თორემ ხომ ხედავ, საშველს არ გაძლევსო. გაბედავს კი ჩვენი გლეხობა ამაზე ფიქრს?—ამას მომავალი დაგვანახვებს.

რ. რ—ლი.

# ფ ო ს ტ ა

**ფოთი. ქეშელავას.** თქვენზე ირიცხება სამგლოვიარო განცხადების—სამოცი მან. (60 მ.)

**ხუფსა. ჯიხვაშველს.** ბარათი, რომელზედაც თქვენ იწერებით, არ მიგვიღია, მივიღეთ შვიდი მანეთი. გვაცნობეთ მისი დანიშნულება.

**ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეს ალ. მადულარიას.** სამგლოვიარო განცხადება ილ ცეცხლაძის შესახებ არ მიგვიღია. მივიღეთ განცხადების ფული 20 მან. გვაცნობეთ, რა დანიშნულება მივცეთ განცხ. ფულს.

# განცხადებანი


[illegible]

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:

ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას,
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას!

კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო,
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!

მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აღყვავებას,
ბეჩავ შენთა ძეთა
სწავლა-განათლებას,
ევროპიულ ცოდნით,
აღზრდა-აღმაღლებას!

ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!

(3—2)

**რაჭა-ლეჩხუმის**
დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ნახვა შეიძლება ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს დილის 11—12 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 19, სახელმწიფო კონტროლის ბინა, გ. ჯაფარიძესთან. იქვე შეიძლება საზოგადოებაში წევრათ ჩაწერა. ამავე ბინაზე ხდება საზოგადოების გამგეობის ჩვეულებრივი კრება ყოველ პარასკევს, საღამოს 7 საათზე.

**მიხეილის ქირქო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. ტ ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. გ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე ხაჭვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. გ. ლევინშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვების და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 8, ტელეფონი № 12—46.

ე ქ ი მ ი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

**ექიმი ჩ. მ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქრო ავათმყ იფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფთიაქიდან ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ე ქ ი მ ი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ლებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**მე. ქალი რ. ს. შიშლო-სახაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ე ქ ი მ ი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ე ქ ი მ ი
**გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მთავართავის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

# სახელმწიფო თეატრი
ო პ ე რ ა
სამშაბათს, 12 ნოემბერს
## „ტ რ ა ვ ი ა ტ ა"
ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ტ. ი. საბანეევისა, ბ.ბ. გ. ა. ბერზინი, ფ. ნ. პოლიაევი და სხვ.
დირიჟორი სტოლერმანი.
ფასები ძლიერ დაწეულია. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ძველი დროით).
ა ნ ო ნ ს ი: ოთხშაბათს 13 ნოემბერს „ტოსკა". ხუთშაბათს 14 ნოემბერს „ვერტერი".

კავკასიის სამეურნეო სამრეწველო ამხანაგობა
აუწყებს მემამულეთ, ვისაც ჰსურთ იჯარით გასცენ თავიანთი
**ხ ი ლ ი ს ბ ა ღ ე ბ ი**
და სარწყავი
**საგუთხნეულო მიწები**
მიმართონ ამხანაგობას, ბარიატინსკის ქუჩა, № 5. დღისით თორმეტიდან ორს საათამდის.
(4—4)